

ქენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლი და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების აღმოფხვრის ვალდებულება

კნუტ დორმანი და ხოსე სერალვო*

დოქტორ კნუტ დორმანი არის წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

ხოსე სერალვო არის წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის იურიდიული დეპარტამენტის მრჩეველი.

მიმოხილვა

ქენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლი ითვალისწინებს მაღალი ხელშემკვრელი მხარეების ვალდებულებას, ნებისმიერ გარემოებაში შეასრულონ კონვენციების მოთხოვნები და უზრუნველყონ სხვების მიერ მათი შესრულება. ამ სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ამ ვალდებულების მეორე ნაწილზე, რომლის შესაბამისადაც მესამე სახელმწიფოებმა, რომლებიც მოცემულ შეიარაღებულ კონფლიქტში არ არიან ჩართული, უნდა უზრუნველყონ კონფლიქტის მხარეთა მიერ ქენევის კონვენციების მოთხოვნათა შესრულება. სტატიის თანახმად, სახელმწიფოებს ეკისრებათ საერთაშორისო ვალდებულება, რომ არა მხოლოდ თავი შეიკავონ სხვა სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების წახალისებისგან, არამედ, აგრეთვე გაატარონ სპეციალური ღონისძიებები მიმდინარე დარღვევების შეწყვეტისა და აღმოფხვრის მიზნით.

* ამ სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ ავტორებს და შესაძლოა ყველა შემთხვევაში არ ემთხვეოდეს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის პოზიციას ან თუ იმ საკითხზე.

საკვანძო სიტყვები: ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვის უზრუნველყოფა, *erga omnes* ვალდებულებები, დაცვა, მესამე სახელმწიფოების პასუხისმგებლობა, სტოკჰოლმის კონფერენცია, საერთაშორისო ხელშეკრულებების ინტერპრეტაცია, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების აღმოფხვრა, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების შეწყვეტა, პრევენცია, ხელშეკრულება იარაღით ვაჭრობის შესახებ.

* * *

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვის მნიშვნელობა

თანამედროვე შეიარაღებული კონფლიქტები, მაგალითად ისეთი, როგორც სირიაში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკასა და სამხრეთ სუდანში მიმდინარეობს, კვლავაც ადამიანების უსაზღვრო ტანჯვას იწვევს. ამ სიტუაციების ანალიზი ცხადყოფს, რომ შეიარაღებული ძალადობა დღეს უაღრესად კომპლექსური ხასიათისაა. ახალი აქტორებისა თუ ომის წარმოების მეთოდებისა და საშუალებების გამოჩენა, ერთი შეხედვით, შესაძლოა გამოწვევა იყოს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოქმედი ნორმებისთვის. თუმცა, ამის მიუხედავად, სამართლის ეს დარგი მაინც ადეკვატურ ჩარჩოს წარმოადგენს შეიარაღებული კონფლიქტის შედეგების მაქსიმალურად შეზღუდვისა და სამხედრო აუცილებლობასა და ჰუმანურობის პრინციპებს შორის ბალანსის უზრუნველყოფისთვის.¹ სახელშეკრულებო და ჩვეულებითი სამართალი ზღუდავს შეიარაღებული კონფლიქტის მხარეების მიერ ომის წარმოების თავისუფლებას. თუმცა, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისთვის ყველაზე დიდ სირთულეს დღეს წარმოადგენს შეიარაღებული კონფლიქტის მხარეების დარწმუნება, რომ მათ დაიცვან სავალდებულო წესები. სამწუხარო რეალობად რჩება ის ფაქტი, რომ შეიარაღებულ კონფლიქტებში მუდმივად ირღვევა ყველაზე უფრო ძირითადი და უდავო წესებიც კი.² საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოქმედი წესების ზედმიწევნით დაცვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად დაზარალებული პირების მდგომარეობას.³ ამრიგად, უაღრესად მნიშვნელოვანია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პატივისცემისა და სამართლის მოთხოვნების შესრულების გაუმჯობესების კუთხით მუშაობა კიდევ უფრო გაძლიერდეს. ხაზი უნდა გაესვას ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ და ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით კიდევ ერთხელ აღიარებულ ვალდებულებას, რომ მაღალმა

¹ იხილეთ Report presented by the International Committee of the Red Cross (ICRC) to the 31st International Conference of the Red Cross and Red Crescent, Strengthening Legal Protection for Victims of Armed Conflicts, ICRC, Geneva, October 2011, გვ. 4.

² თანამედროვე შეიარაღებულ კონფლიქტებში ირღვევა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ყველაზე ძირძველი და ფუნდამენტური ვალდებულებაც, რომ შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირებს ხელი მიუწვდებოდეთ ჯანდაცვაზე. იხილეთ ICRC, *Healthcare in Danger: Making the Case*, August 2011, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: www.icrc.org/eng/assets/files/publications/icrc-002-4072.pdf.

³ *Ibid.* აგრეთვე იხილეთ International Institute of Humanitarian Law, *Strengthening Measures for the Respect and Implementation of International Humanitarian Law and Other Rules Protecting Human Dignity in Armed Conflict*, 28th Round Table, Sanremo, 2–4 September 2004; ICRC Vice-President Beerli, *Respecting IHL: Challenges and Responses*, 36th Round Table, Sanremo, 5–7 September 2013, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: www.icrc.org/eng/assets/files/2013/round-table-san-remo-beerli-2013-icrc.pdf.

ხელშემკვრელმა მხარეებმა “ნებისმიერ შემთხვევაში უნდა შეასრულონ [სამართლის მოთხოვნები] და უზრუნველყონ მათი შესრულება”.

ჟენევის კონვენციების დაცვის ვალდებულება გულისხმობს, რომ სახელმწიფოებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა მათ ხელისუფლებას დაქვემდებარებულმა ორგანოებმა დაიცვან ზემოხსენებული წესები.⁴ ეს დებულება ფაქტობრივად სახელმწიფოებში სამართლის შესახებ ვენის კონვენციის 26-ე მუხლით გაწერილი *pacta sunt servanda* პრინციპის აღიარებაა. ჟენევის კონვენციების საერთო მე-3 მუხლის თანახმად, არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებში ეს ვალდებულება ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფებზეც ვრცელდება. ამრიგად, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვა უმთავრესად შეიარაღებული კონფლიქტის მხარეების ვალდებულებაა. თუმცა, ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლი კიდევ უფრო შორს მიდის და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვის უზრუნველყოფასაც მოითხოვს; აღნიშნული, თავის მხრივ შიდა და გარე კომპონენტებს მოიცავს. შიდა კომპონენტი გულისხმობს, ჟენევის კონვენციების მაღალი ხელშემკვრელი მხარეების მიერ კონვენციების დაცვის უზრუნველყოფას არა მხოლოდ თავიანთი შეიარაღებული ძალებისა და სამოქალაქო თუ სამხედრო ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების მიერ, არამედ, ზოგადად სამოქალაქო მოსახლეობის მიერაც.⁵ შიდა ვალდებულების არსებობაზე, მათ შორის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევებისთვის სახელმწიფო პასუხისმგებლობის საკითხზე, არავინ დაობს. გარე ვალდებულების თანახმად, სახელმწიფოებს, რომლებიც მოცემულ შეიარაღებულ კონფლიქტში არ არიან ჩართული, ისევე როგორც რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებს⁶, ევალებათ ჟენევის კონვენციების, და სავარაუდოდ, ზოგადად ჰუმანიტარული სამართლის, დაცვის უზრუნველყოფის მიზნით ქმედითი ზომების მიღება.

ამ სტატიის მიზანია გარე ვალდებულების შინაარსსა და ფარგლებთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტება. ზოგიერთი სახელმწიფოს აზრით, ამ ვალდებულების ცალკეული ასპექტები ბუნდოვანია.⁷ სტატიაში განხილული იქნება ჟენევის კონვენციების მაღალი ხელშემკვრელი მხარეების ვალდებულება უზრუნველყონ სხვა მაღალი ხელშემკვრელი მხარეების მიერ სამართლის მოთხოვნების დაცვა.⁸ ვინაიდან

⁴ Luigi Condorelli and Laurence Boisson de Chazournes, “Common Article 1 of the Geneva Conventions Revisited: Protecting Collective Interests”, *International Review of the Red Cross*, Vol. 82, No. 837, 2000, გვ. 67–86.

⁵ Final Record of the Diplomatic Conference of Geneva of 1949, Vol. 2, Section B, გვ. 53.

⁶ ადამ რობერტსი მიიჩნევს, რომ თუკი სახელმწიფოებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრებათ, მაშინ ეს ვალდებულება რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებზეც ვრცელდება, ვინაიდან ისინი სახელმწიფოებისგან შედგებიან. იხილეთ Adam Roberts, “Implementation of the Laws of War in Late 20th Century Conflicts”, in Michael N. Schmitt and Leslie C. Green (eds), *The Law of Armed Conflict: Into the Next Millennium*, *International Law Studies*, Vol. 71, Naval War College, Newport, 1998, გვ. 365.

⁷ Luigi Condorelli and Laurence Boisson de Chazournes, “Quelques remarques à propos de l’obligation des États de ‘respecter et faire respecter’ le droit international humanitaire ‘en toutes circonstances’”, in Christophe Swinarski (ed.), *Studies and Essays on International Humanitarian Law and Red Cross Principles in Honour of Jean Pictet*, ICRC and Martinus Nijhoff Publishers, Geneva, 1984, გვ. 18; Tomasz Zych, “The Scope of the Obligation to Respect and to Ensure Respect for International Humanitarian Law”, *Windsor Yearbook of Access to Justice*, Vol. 27, 2009, გვ. 252; Carlo Focarelli, “Common Article 1 of the 1949 Geneva Conventions: A Soap Bubble?”, *European Journal of International Law*, Vol. 21, No. 1, 2010, გვ. 127.

⁸ ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლზე, მათ შორის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულებაზე, დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ L. Condorelli and L. Boisson de Chazournes, *supra note 7*.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოქმედი წესების დაცვა თანამედროვე შეიარაღებულ კონფლიქტებში არსებული პრობლემების გადაჭრის მნიშვნელოვანი ბერკეტია, ზემოხსენებული ვალდებულების ფარგლების დაზუსტების საჭიროება აშკარაა. მაგალითად, თუკი შეიარაღებულ კონფლიქტში A სახელმწიფო მუდმივად იყენებს B სახელმწიფოს სამოქალაქო პირების სხეულის დასახიჩრების პრაქტიკას, ეკისრება თუ არა ნეიტრალურ C სახელმწიფოს სამართლებრივი ვალდებულება, რომ მიიღოს ზომები, რათა A სახელმწიფომ შეწყვიტოს აღნიშნული პრაქტიკა? ოკუპაციის შემთხვევაში, თუკი A სახელმწიფო თავის მიერ ოკუპირებულ B სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს არ რთავს ნებას ჰუმანიტარული დახმარება გაუწიონ სამოქალაქო მოსახლეობას, რა ვალდებულებები ეკისრება C სახელმწიფოს, რომელიც არ მონაწილეობს სამარ მოქმედებებში და A სახელმწიფოსთან მჭიდრო დიპლომატიური ურთიერთობები აქვს? კანონიერი იქნება თუ არა C სახელმწიფოს მიერ A სახელმწიფოსთვის იარაღის მიყიდვა, თუკი მან იცის, რომ ეს იარაღები B სახელმწიფოს წინააღმდეგ შეიარაღებულ კონფლიქტში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევების ჩასადენად იქნება გამოყენებული? ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლი ამ საკითხებს არეგულირებს.

აკონკრეტებს რა ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის მოქმედების სფეროს, ეს სტატია მიუთითებს, რომ მესამე სახელმწიფოებს - ანუ, სახელმწიფოებს, რომლებიც კონკრეტულ შეიარაღებულ კონფლიქტში არ მონაწილეობენ - ეკისრებათ სამართლებრივი ვალდებულება აღმოფხვრან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები. უპირველეს ყოვლისა, სტატია მიმოიხილავს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვის უზრუნველყოფის სამართლებრივი ვალდებულების ისტორიულ ასპექტებს. ამ ნაწილში განხილული იქნება 1949 წლის ჟენევის კონვენციების *travaux préparatoires*. სტატიის მეორე ნაწილი დაეთმობა სახელმწიფოების, სამთავრობათშორისო საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ტრიბუნალების პრაქტიკას, რომელიც ადასტურებს, რომ მესამე სახელმწიფოებს მართლაც ეკისრებათ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულება, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ისინი შეიარაღებული კონფლიქტის მხარეები არ არიან. ასეთი გარე ვალდებულების არსებობის დემონსტრირების შემდეგ, სტატია მიმოიხილავს ამ ვალდებულების ხასიათსა და ფარგლებს. ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლი აუცილებელი ზრუნვის და არა შედეგზე ორიენტირებული ვალდებულების კონტექსტში იქნება განხილული. სტატიის ამ ნაწილში მოცემული იქნება იმ ზომების ჩამონათვალი, რომელთა გამოყენებაც შეუძლიათ მესამე სახელმწიფოებს. და ბოლოს, სტატია მიმოიხილავს იმ ქმედებებს, რომელთა განხორციელებაც ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლით ევალებათ ან ეკრძალებათ მესამე სახელმწიფოებს. სტატიის ბოლო ნაწილში განხილული იქნება ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის როლი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების პრევენციის კონტექსტში. ამ მიზნით, ბოლო პერიოდში მიღებული იარაღით ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება მაგალითის სახით იქნება განხილული.

სხვა აქტორების მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული წესების დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულების ისტორიული განვითარება

მოქმედ ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ 1929 წლის ჟენევის კონვენციის 25-ე მუხლი და სამხედრო ტყვეთა მოპყრობის შესახებ 1929 წლის ჟენევის კონვენციის 82-ე მუხლით აღიარებული იყო, რომ ეს ინსტრუმენტები

შესრულებული უნდა ყოფილიყო მაღალი ხელშემკვრელი მხარეების მიერ”. საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ კონვენციების დებულებების შესრულება სავალდებულო იყო მოწინააღმდეგე მხარის ქცევის მიუხედავად.⁹ ამ ინსტრუმენტების მიღებამდე მსგავსი შინაარსის დებულებებს არცერთი ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა.¹⁰ ამავდროულად, 1929 წლის კონვენციების 25-ე და 82-ე მუხლებით პირველად იქნა აღიარებული ნაცვალების აკრძალვის პრინციპი¹¹ - სხვა სიტყვებით რომ ითქვას, შეიარაღებული კონფლიქტის მხარეები ნაცვალების პრინციპზე დაყრდნობით ვერ მიუთითებენ მოწინააღმდეგე მხარის მიერ სამართლის ნორმების დარღვევაზე, რათა თავიანთი შეიარაღებული ძალების მიერ ჩადენილი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები გაამართლონ. თუკი 1929 წლის კონვენციებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვის უზრუნველყოფის სფეროში, 1949 წლის ჟენევის კონვენციები ერთი ნაბიჯით წინ წავიდა. ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის თანახმად, “მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ ნებისმიერ გარემოებაში შეასრულონ და უზრუნველყონ [ჟენევის კონვენციების] შესრულება”. 1929 წლის კონვენციებითა და ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების ურთიერთმიმართების საკითხზე სამი ძირითადი ასპექტი უნდა გამოვყოთ:

1. უპირველეს ყოვლისა, ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლი ითვალისწინებს ჟენევის კონვენციების “შესრულების უზრუნველყოფის” ვალდებულებას. ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული არაერთი ფაქტორი ქვემოთ იქნება განხილული.
2. მეორეს მხრივ, 1929 წლის კონვენციისგან განსხვავებით, სადაც კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების ნებისმიერ გარემოებაში შესრულების მოთხოვნა ბოლო ნაწილში, ამ ინსტრუმენტის აღსრულების შესახებ დებულებებში იყო მოცემული, 1949 წლის დიპლომატიურ კონფერენციაზე გადაწყდა, რომ ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლით გათვალისწინებული უფრო მრავლისმომცველი დებულება ჟენევის ოთხივე კონვენციის დასაწყისშივე ყოფილიყო გაწერილი. ეს გადაწყვეტილება ტრივიალური არ ყოფილა, არც მიზნობრივად და არც ამ ვალდებულების იმპერატიული ხასიათის თვალსაზრისით.¹²

⁹ *Ibid.*, გვ. 19; Frits Kalshoven, “The Undertaking to Respect and Ensure Respect in All Circumstances: From Tiny Seed to Ripening Fruit”, *Yearbook of International Humanitarian Law*, Vol. 2, 1999, გვ. 7–10; Alexandre Devillard, “L’obligation de faire respecter le droit international humanitaire: l’article 1 commun aux Conventions de Genève et à leur Premier Protocole Additionnel, fondement d’un droit international humanitaire de coopération?”, *Revue Québécoise de Droit International*, Vol. 75, 2007, გვ. 77–79.

¹⁰ უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის თანახმად, ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების არსებითი დარღვევა მეორე მხარეს უფლებას აძლევს სრულად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ან შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება. სახელშეკრულებო სამართლის შესახებ 1969 წლის ვენის კონვენციის 60(5) მუხლის თანახმად აღიარებულია, რომ ეს რეჟიმი “არ ვრცელდება ჰუმანიტარული ხასიათის ხელშეკრულებების იმ დებულებებზე, რომლებიც ადამიანების დაცვას შეეხება, განსაკუთრებით კი ასეთი ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებზე, რომ აკრძალულია პირების მიმართ ნებისმიერი ხასიათის რეპრესალიების გამოყენება.”

¹¹ ასევე ცნობილია ნეგატიური ნაცვალების აკრძალვის პრინციპის სახელით. იხილეთ Jean-Marie Henckaerts and Louise Doswald-Beck (eds), *Customary International Humanitarian Law, Vol. 1: Rules*, Cambridge University Press, Cambridge, 2005, reprint 2009 (ICRC Customary Law Study), გვ. 498–499.

¹² იხილეთ Fateh Azzam, “The Duty of Third States to Implement and Enforce International Humanitarian Law”, *Nordic Journal of International Law*, Vol. 66, 1997, გვ. 72 : “ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლი ... პრეამბულის

3. და მესამე, ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის ფორმულირება, 1929 წლის ჟენევის კონვენციებისგან განსხვავებით ვნებით გვარში არ არის ფორმულირებული. 1929 წლის ჟენევის კონვენციების თანახმად, “შესრულებული უნდა იყოს მაღალი ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ”, ხოლო 1949 წლის ჟენევის კონვენციების თანახმად, “მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ ნებისმიერ გარემოებაში შეასრულონ და უზრუნველყონ [ჟენევის კონვენციების] შესრულება”. გრამატიკული ფორმულირების სამართლებრივი დატვირთვის საკითხი გვერდზე რომ გადავდოთ, ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის ფორმულირება ნებისმიერ შემთხვევაში ხაზს უსვამს კონვენციებით უზრუნველყოფილი დაცვის ჩარჩოს, და მისი შემადგენელი კომპონენტების ინტერპრეტაციის თავისებურებას.

ჟენევის კონვენციების საერთო მუხლები ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს შეეხება, რომ ამ ინსტრუმენტების შემქმნელებმა საჭიროდ ჩათვალეს “გამეორების გზით ხაზი გაესვათ ამ ვალდებულებების მნიშვნელობისთვის”.¹³ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლი ამ ინსტრუმენტების მოთხოვნების ეროვნულ დონეზე შესრულების ვალდებულებაზე უფრო შორს მიდის. ზემოთ მოყვანილი ჩვეულებითი სამართლის პრინციპი *pacta sunt servanda* ისედაც აღიარებს, რომ ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც ცალკეული ხელშეკრულების რატიფიკაციას მოახდენს, ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულების მოთხოვნები. ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლი უმნიშვნელოვანესი დებულება იმიტომ არ არის, რომ ის უბრალოდ იმეორებს საერთაშორისო საჯარო სამართლის უდავო ნორმას. ამ ნორმას უდიდესი დატვირთვა იმიტომ აქვს, რომ ის გაწერს უპრეცედენტო ვალდებულებას, რომ თითოეულ სახელმწიფოს ეკისრება სამართლებრივი ვალდებულება მთლიანად საერთაშორისო საზოგადოების წინაშე, რომ უზრუნველყოს ჟენევის კონვენციების შესრულება.¹⁴ ასეთი დასკვნის გაკეთება შესაძლებელია *travaux préparatoires* და სამოცი წლის მანძილზე ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის გამოყენების პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით.

სანამ იმ პერიოდს მიმოვიხილავთ, რომელიც ჟენევის კონვენციების შემუშავებას წინ უძღოდა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ *travaux préparatoire* წარმოადგენს დებულებების განმარტების დამხმარე საშუალებას.¹⁵ ამ მხრივ, ის განსხვავდება კონვენციის მიღების შემდგომ პერიოდში სახელმწიფოთა პრაქტიკის ანალიზისგან, რაც კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების გააზრების წყაროა.¹⁶ თუმცა, როგორც

დატვირთვას არ ატარებს. ის არის კონვენციებისა და დამატები ოქმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დებულება. ამ მოთხოვნის კონვენციების დასაწყისში გაწერა ხაზს უსვამს ვალდებულების იმპერატიულ ხასიათს”. აგრეთვე იხილეთ Jean Pictet (ed.), *Commentary: IV Geneva Convention Relative to the Protection of Civilian Persons in Time of War*, 1958, გვ. 15.

¹³ Gary D. Solis, *The Law of Armed Conflict: International Humanitarian Law in War*, Cambridge University Press, New York, 2010, გვ. 84.

¹⁴ Yves Sandoz, Christophe Swinarski and Bruno Zimmermann (eds), *Commentary on the Additional Protocols to the Geneva Conventions of 12 August 1949*, 1987, para. 45.

¹⁵ სახელმწიფოებო სამართლის შესახებ ვენის კონვენცია, 32-ე მუხლი.

¹⁶ Ibid., 31(2) მუხლი. აგრეთვე იხილეთ Giovanni Distefano, “La pratique subsequente des Etats parties a un traite”, *Annuaire Français de Droit International*, Vol. 40, 1994, გვ. 46:

Si le recours aux travaux préparatoires souligne le souci de connaître cette volonté dans la phase de gestation du traité, recourir à l'examen de l'application et de l'exécution de ce dernier souligne le besoin d'établir ladite volonté sur le terrain. Encore, les travaux préparatoires ne nous éclairent-ils qu'au regard des intentions embryonnaires des parties à un traité, alors que l'analyse de la pratique subséquente des États contractants

ზემოთ აღნიშნა, ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს რომ ჟენევის კონვენციების სხვა სახელმწიფოების შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულება გარკვეული ბუნდოვანებით არის მოცული. აქედან გამომდინარე, ამ წესის ზუსტი შინაარსის დადგენის პროცესში მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ როგორც მისი წარმომავლობა, ისე - შემდგომი პრაქტიკა.

Travaux préparatoires

როგორც ფრანსუა ბუნიონი აღნიშნავს, ჟენევის კონვენციების *travaux préparatoires* დეტალურად და ამომწურავად არ განიხილავს ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის მოქმედების სფეროს. ავტორი მიუთითებს, რომ 1949 წლის დიპლომატიურ კონფერენციაზე გამოითქვა მოსაზრებები შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულების შიდა და გარე ასპექტების შესახებ. ამასთან, კონფერენციის მონაწილეებმა საჭიროდ არ ჩათვალეს, რომ რომელიმე მათგანისთვის უპირატესობა მიენიჭებინათ. ფორმულირება, რომელიც ჟენევის კონვენციების საბოლოო ტექსტში გაიწერა, ორივე ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.¹⁷ ფრიც კალსოვენი აღნიშნავს რომ *travaux préparatoire* ისეთი არაფერია ნახსენები, რაც ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის ფართო ინტერპრეტაციას გაამართლებდა და შესაძლებელს გახდიდა გვესაუბრა საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებაზე, რომ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ჟენევის კონვენციების დაცვა ისეთ შეიარაღებულ კონფლიქტებში, რომელშიც ისინი მხარეებს არ წარმოადგენენ.¹⁸

ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის შესახებ ნარკვევებში კალსოვენი ასკვნის, რომ კონვენციების შემქმნელებს არ გაუთვალისწინებიათ ისეთი ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც ფრაზა “შესრულების უზრუნველყოფა” გულისხმობს მაღალი ხელშემკვრელი მხარეების ვალდებულებას, უზრუნველყონ ჟენევის კონვენციების შესრულება ყველა სხვა მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ.¹⁹ მისი აზრით, “უბრალოდ არაფერი იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ შემოთავაზებული ტექსტის ავტორები, მათ შორის კლოდ პილუ, ასეთ განმარტებას მოიაზრებდნენ”.²⁰ კალსოვენი მიიჩნევს, რომ ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლით ავტორებს სურდათ კონვენციების შესრულების უზრუნველყოფა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებში, ე.ი. არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების არასახელმწიფო მხარეების მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი წესების შესრულების უზრუნველყოფა.²¹

ჟენევის კონვენციების შემუშავების არც თუ ისე დეტალურად დოკუმენტირებული პროცესი სხვაგვარადაც შეიძლება იქნას გაგებელი. ჟენევის კონვენციების შესრულების

constitue assurément une interprétation authentique et pratique de leur volonté commune véhiculée par l'instrument conventionnel.

¹⁷ François Bugnion, *Le Comité International de la Croix Rouge et la protection des victimes de la guerre*, ICRC, Geneva, 2000, გვ. 1080–1081.

¹⁸ F. Kalshoven, *supra note 9*, გვ. 3–61.

¹⁹ *Ibid.*, გვ. 14.

²⁰ *Ibid.*

²¹ *Ibid.*, გვ. 13–16.

უზრუნველყოფის ვალდებულება პირველად გათვალისწინებულ იქნა 1948 წლის სტოკჰოლმში გამართულ წითელი ჯვრის საერთაშორისო კონფერენციაზე წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ წარმოდგენილ განახლებული პროექტში ან ომის მსხვერპლთა დაცვის ახალ კონვენციებში.²² წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა ამ ინსტრუმენტების პროექტი სამთავრობო ექსპერტების, წითელი ჯვრის ეროვნული საზოგადოებების და ჰუმანიტარული გაერთიანებების დახმარებით მოამზადა.²³ ბუკლეტის სახით წარმოდგენილ საბოლოო ტექსტში მოცემული იყო როგორც შემოთავაზებული დებულებების ტექსტი, ისე თითოეული დებულების განმარტებითი ბარათი. ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის ზუსტი ტექსტი ასეთი იყო:

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, თავიანთი ხალხის სახელით, ვალდებულებას კისრულობენ ნებისმიერ გარემოებაში შეასრულონ, და უზრუნველყონ ამ კონვენციის შესრულება.

ტექსტს თან ერთვის წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის არაერთი შენიშვნა. ბუკლეტი ხელმისაწვდომი იყო სტოკჰოლმის კონფერენციაში მონაწილე წითელი ჯვრის ეროვნული საზოგადოებებისა და ყველა მთავრობის წარმომადგენლისთვის.²⁴ ჟენევის კონვენციების შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულების თავდაპირველი და ზუსტი მნიშვნელობის გაგებისთვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლთან დაკავშირებით ბუკლეტში მოცემული შენიშვნების ციტირება:

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს სჯერა, რომ ეს მუხლი, რომლის მოქმედების სფეროც გაფართოვდა, კონვენციის დასაწყისშივე უნდა იყოს გაწერილი. ახალი ფორმულირება მოიცავს სამ ძირითად ასპექტს:

- (1) მაღალი ხელშემკვრელი მხარეების ვალდებულება, რომ ნებისმიერ გარემოებაში შეასრულონ კონვენციის მოთხოვნები;
- (2) მაღალი ხელშემკვრელი მხარეების ვალდებულება, რომ ნებისმიერ გარემოებაში უზრუნველყონ კონვენციების შესრულება;
- (3) ფორმალური დეკლარაცია, რომლის თანახმადაც მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ამ ვალდებულებებს თავიანთი ხალხის სახელით კისრულობენ.

პუნქტში (1) მოცემული ასპექტი შეესაბამება 1929 კონვენციის 1-ლი ნაწილის 25-ე მუხლის მოთხოვნებს. პუნქტთან (2) მიმართებით წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს სჯერა, რომ ჟენევის კონვენციით გათვალისწინებული დაცვის სისტემის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, რომ მაღალი ხელშემკვრელი მხარეების ვალდებულებები არ უკავშირდებოდეს კონვენციის შესრულებას მხოლოდ თავიანთი შეიარაღებული ძალების მიერ. მათ ასევე უნდა გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა ბერკეტი, რათა უზრუნველყონ იმ ძირითადი პრინციპების, საყოველთაო დაცვა, რომლებსაც კონვენციები ეფუძნება.

პუნქტთან (3) მიმართებით, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს მოუწოდებს ფორმალური დეკლარაციით აღიარონ, რომ ზემოთ მოყვანილ ვალდებულებას ისინი თავიანთი ხალხის სახელით კისრულობენ. ასეთი დეკლარაცია კონვენციით აღიარებული ძირითადი

²² ICRC, Draft Revised or New Conventions for the Protection of War Victims, Geneva, May 1948, გვ. 4, 34, 51 და 222.

²³ *Ibid.*, გვ. 1-2.

²⁴ *Ibid.*, გვ. 2.

პრინციპების შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულებას ხალხსაც უკავშირებს. ასეთი ფორმულირების უპირატესობა ისიც არის, რომ ის ხელს შეუწყობს კონვენციის შესრულებას, განსაკუთრებით სამოქალაქო ომებში.²⁵

კალსოვენი მიიჩნევს, რომ ავტორებმა ტერმინი “საყოველთაო” იმ მიზნით გამოიყენეს, რომ უზრუნველყოფილიყო ჟენევის კონვენციების დაცვა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარის მიერ.²⁶ როგორც ის აღნიშნავს, “მართლაც, ძალიან უცნაური იქნებოდა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების დარგის ცნებას ზედმეტი ახსნის გარეშე ერთმანეთთან დაეკავშირებინა ეროვნულ დონეზე დასარეგულირებელი ორი საკითხი”.²⁷ კალსოვენი მიიჩნევს, რომ

დებულების საბოლოო ტექსტში ... ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის თავდაპირველი მიზნებიდან ბევრი არაფერი შენარჩუნდა. კონვენციის შემქმნელებისთვის ამ დებულების *raison d'être* ის იყო, რომ მოსახლეობა ჩართულიყო კონვენციით აღიარებული პრინციპების შესრულების პროცესში, ისეთ სიტუაციებშიც კი, როგორცაა სამოქალაქო ომები და არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტები.²⁸

ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის განსხვავებული მნიშვნელობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები ქვემოთ მოყვანილ სხვა ასპექტებსაც უკავშირდება:

1. სტოკჰოლმის კონფერენციაზე წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ წარდგენილი კონვენციების პროექტის მე-2 მუხლი უკვე შეეხებოდა სამოქალაქო ომებს (მე-4 პარაგრაფი) და არაორაზროვნად მიუთითებდა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარის მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულების ვალდებულებაზე; კონვენციების 1-ლი მუხლის პროექტისა (რომლის თანახმადაც კონვენციის მოთხოვნები “ნებისმიერ გარემოებაში” უნდა შესრულებულიყო) და მე-2 მუხლის პროექტის ერთობლიობა (რომლის თანახმადაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძველი ხელშეკრულებით გათვალისწინებული *clausula si omnes* პრინციპი არ გავრცელდებოდა შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებზე) ნაცვალგების პრინციპის აკრძალვის აღიარებას წარმოადგენდა.²⁹ ამავდროულად, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლ მუხლთან დაკავშირებით გაკეთებული განმარტება (იხილეთ ზემოთ) იმის აღიარებით

²⁵ *Ibid.*, გვ. 5.

²⁶ F. Kalshoven, *above note 9*, გვ. 14.

²⁷ *Ibid.*

²⁸ *Ibid.*, გვ. 16.

²⁹ მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პარაგრაფების პროექტის თანახმად:

თუკი კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი სახელმწიფო არ არის წინამდებარე კონვენციის მხარე, ის სახელმწიფოები, რომლებიც კონვენციის მხარეები არიან, ერთმანეთს შორის ურთიერთობებში კვლავაც შეზღუდულნი რჩებიან.

ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მიმდინარე საერთაშორისო ხასიათის არმქონე შეიარაღებულ კონფლიქტებში, განსაკუთრებით სამოქალაქო ომებში, კოლონიურ კონფლიქტებში, ან რელიგიურ ომებში, ყველა მხარე ვალდებულია შეასრულოს ამ ხელშეკრულებით აღიარებული პრინციპები. ასეთ ვითარებაში კონვენციის მოქმედებაზე გავლენას არ მოახდენს შეიარაღებული კონფლიქტის მხარეების სამართლებრივი სტატუსი და თავის მხრივ, კონვენციის მოქმედება არ იქონიებს გავლენას მათ სტატუსზე.

იწყებოდა, რომ ამ მუხლის მოქმედების სფერო 1929 წლის ჟენევის კონვენციების შესაბამის დებულებებზე უფრო ფართოა. ვინაიდან ნაცვალგების აკრძალვის პრინციპსა და სამოქალაქო ომებს კონვენციების დებულებებიც არეგულირებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის მოქმედების სფეროს გაფართოება კონვენციების საყოველთაოდ შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულებას უკავშირდება.

2. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის განმარტების მესამე პარაგრაფი არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებს შეეხება. ამრიგად, მეორე პარაგრაფს განსხვავებული მნიშვნელობა აქვს.
3. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის განმარტებებში გამოყენებული ტერმინის - “საყოველთაო” ჩვეულებრივი მნიშვნელობა საკმაოდ არაორაზროვანია. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ტერმინი “საყოველთაო”, საერთაშორისო სამართლის სფეროში მაინც, ეროვნულის საპირისპირო მნიშვნელობით უნდა განიმარტოს. ექსპერტები (მათ შორის ერიკ დავიდი) აღიარებენ, რომ ჟენევის კონვენციების 1-ლი საერთო მუხლის საყოველთაო შესრულება სამართლის მხოლოდ ეროვნულ დონეზე დაცვას არ გულისხმობს.³⁰ ამრიგად, სტოკჰოლმის კონფერენციაზე წარდგენილი ტექსტი და შესაბამისი განმარტებები ასეთი ფართო გაგებით უნდა იქნას წაკითხული.

1949 წლის დიპლომატიური კონფერენციის *travaux préparatoires* ადასტურებს, რომ ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლი დეტალურად არ განუხილავთ. სპეციალური კომიტეტის შეხვედრებზე სიტყვით მხოლოდ იტალია, ნორვეგია, ამერიკის შეერთებული შტატები, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი და საფრანგეთი გამოვიდნენ.³¹ იტალიის წარმომადგენელმა, ბატონმა მარესკამ ჟენევის კონვენციების შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დებულება “ან სრულიად უშინაარსო იყო ან საერთაშორისო სამართლის ახალ ვალდებულებას გაწერდა”.³² როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებობს საკმარისი გარემოებები, რომ ამ ორიდან უკანასკნელ მოსაზრებას მიენიჭოს უპირატესობა. ასე რომ არ იყოს, და დებულება ყოველგვარ აზრს მოკლებული რომ ყოფილიყო, ჟენევის კონვენციის შემქმნელები მას უბრალოდ ამოშლიდნენ საბოლოო ტექსტიდან. ნორვეგიისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის მიზანს სამართლის მოთხოვნების “მთელი მოსახლეობის მიერ” შესრულების უზრუნველყოფა წარმოადგენდა.³³ ბატონმა პილუმ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის სახელით განაცხადა, რომ

სტოკჰოლმის კონფერენციაზე წარმოდგენილი ტექსტით წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ კონვენციების ხელშემკვრელი მხარეების ვალდებულებები კონვენციების მხოლოდ თავიანთი შეიარაღებული ძალების მიერ შესრულებით არ შემოიფარგლება. მათ ხელთ არსებული ბერკეტების გამოყენებით სახელმწიფოებმა ყველაფერი უნდა იღონონ,

³⁰ Eric David, *Principes de Droit des Conflits Armés*, Bruylant, Brussels, 2008, para. 3.13: “une application universelle ne se limite évidemment pas à une application nationale”.

³¹ Final Record of the Diplomatic Conference of Geneva of 1949, *supra note* 5, გვ. 53.

³² *Ibid.*

³³ *Ibid.*

რათა კონვენციებით აღიარებული ძირითადი პრინციპები საყოველთაოდ იყოს დაცული.³⁴

ამ განცხადების საპასუხოდ განსხვავებული მოსაზრება არცერთ დელეგაციას არ დაუფიქსირებია. კონფერენციის მონაწილეებს არც ნორვეგიის, ამერიკის შეერთებული შტატების ან წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ გაკეთებულ განცხადებებზე დაუფიქსირებიათ თავიანთი განსხვავებული მოსაზრება ან შენიშვნები.³⁵ ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელშეკრულების საყოველთაო მოქმედება მის მხოლოდ ეროვნულ დონეზე გამოყენებას არ გულისხმობს.³⁶ იმის გათვალისწინებით, რომ კონფერენციის მონაწილეებს, ერთის მხრივ, დაურიგდათ ამ დებულების ტექსტი და განმარტებითი ბარათი, და მეორეს მხრივ, დებულების ზუსტი მნიშვნელობის შესახებ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტისგან მათ არაორაზროვანი განცხადებები მოისმინეს, რთული წარმოსადგენია, რომ სახელმწიფოებს კონვენციების შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულება ვიწროდ ესმოდათ. მათ არჩევანი შეაჩერეს ფორმულირებაზე, რომელიც გარე ფაქტორსაც მოიცავს.

აღსანიშნავია, რომ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ 1950 წელს გამოქვეყნებული ჟენევის კონვენციების კომენტარების თანახმად საერთო 1-ლი მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება კონვენციების მოთხოვნების სხვა სახელმწიფოების მიერ შესრულების უზრუნველყოფასაც შეეხება:

თუკი სახელმწიფო არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, სხვა მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს (ნეიტრალურ სახელმწიფოებს, მოკავშირე სახელმწიფოებსა თუ მოწინააღმდეგე მხარეს) შეუძლიათ და უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა კონვენციების შესრულებას ხელი შეუწყონ. ფაქტობრივად, კონვენციით გათვალისწინებული დაცვის სისტემა მოითხოვს, რომ ხელშემკვრელი მხარეები არ უნდა დაკმაყოფილდნენ კონვენციის დებულებების მხოლოდ მათ მიერ შესრულებით, არამედ მათ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა უზრუნველყონ იმ ჰუმანიტარული პრინციპების საყოველთაო გამოყენება, რომლებსაც კონვენციები ეფუძნება.³⁷

³⁴ *Ibid.*

³⁵ დღეს დანამდვილებით ვერ ვიტყვით თუ რას ფიქრობდნენ კონფერენციის მონაწილეები. ერთი რამ ცხადია, ისინი არ შეეწინააღმდეგნენ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლებს. ამ თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ დუმილი შესაძლოა თანხმობის მტკიცებულებად ჩაითვალოს. იხილეთ 13 I. C. MacGibbon, "The Scope of Acquiescence in International Law", *British Yearbook of International Law*, Vol. 31, No. 143, 1954, განსაკუთრებით გვ. 146–147. აგრეთვე იხილეთ G. Distefano, *supra note* 16, გვ. 48: "La doctrine, par ailleurs, tend à attribuer au silence valeur probatoire aux fins interprétatives par voie de comportement ultérieur des parties".

³⁶ E. David, *supra note* 30, para. 3.13.

³⁷ J. Pictet, *supra note* 12, გვ. 16. გასათვალისწინებელია, რომ ჟან პიქტეს რედაქტორობით მომზადებული კომენტარების ფრანგულენოვანი ორიგინალი უფრო არაორაზროვანია და მიუთითებს ხელშემკვრელი მხარის უფლებაზე, რომ იმოქმედოს (pouvoir) და ვალდებულებაზე, რომ იმოქმედოს (devoir): "Ainsi encore, si une Puissance manque à ses obligations, les autres Parties contractantes ... peuvent-elles – et doivent-elles – chercher à la ramener au respect de la Convention" (ibid., გვ. 21). პიქტეს რედაქტორობით გამოცემული კომენტარების ტექსტის ტონი კიდევ უფრო იმპერატიულია ჟენევის მესამე კონვენციის შემთხვევაში, ვინაიდან ის მხოლოდ ვალდებულებაზე მიუთითებს: "Ceci vaut pour le respect que chaque Etat doit lui-même à la Convention mais, en outre, si une autre Puissance manque à ses obligations, chaque Partie contractante (neutre, alliée ou ennemie) doit chercher à la ramener au respect de la Convention". Jean Pictet (ed.), *Commentaire: IIIème Convention de Genève Relative au Traitement des Prisonniers de Guerre*, 1960, გვ. 21.

და ბოლოს, ჟენევის კონვენციებით გათვალისწინებული დაცვის სისტემა, როგორც ასეთი, წინააღმდეგობაში მოდის იმ ექსპერტების არგუმენტებთან, რომლებიც სადავოდ ხდიან ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების გარე ასპექტს. როგორც ფრედერიკ სიორე აღნიშნავს:

[მეორე მსოფლიო ომის დროს ჩადენილი] ჟენევის კონვენციების გარკვეული დარღვევები იმდენად შემზარავი იყო, რომ რეაქციების არარსებობამ თავად რეაქციის ცნების მნიშვნელობაც კი შეცვალა. ცხადია, შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებს ჰქონდათ კანონიერი უფლება, რომ მოწინააღმდეგე მხარის მიერ კონვენციის შესრულება უზრუნველყოფილიყო. შეიარაღებული კონფლიქტის მხარის ეს უფლება შემდგომში ჩაანაცვლა ზოგადად საერთაშორისო თანამეგობრობის უფლებამ, რომ შეიარაღებული კონფლიქტების დროს დაცული იყოს ჟენევის კონვენციების მოთხოვნები. ამრიგად, რეაქცია არა მხოლოდ უფლება, არამედ ვალდებულებაც გახდა.³⁸

სიორედ ჟენევის კონვენციების 10/10/10/11 მუხლებით გათვალისწინებული მფარველი სახელმწიფოების სისტემას ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის დებულებების ჭრილში განიხილავს, როგორც ამ მუხლით გაწერილი ვალდებულების შესრულების ერთ-ერთ ბერკეტს.³⁹ ავტორი აღნიშნავს, რომ შეიარაღებული კონფლიქტის მხარეების სამართლებრივი ვალდებულებების არსებობა თავისთავად საკმარისი არ არის. ამიტომაც, ჟენევის კონვენციებით გათვალისწინებულია “ზედამხედველობისა და თანამშრომლობის გარე მექანიზმები”.⁴⁰ და მართლაც, ზედამხედველობის მექანიზმის მნიშვნელობა ჯერ კიდევ 1929 წლის დიპლომატიურ კონფერენციაზე განიხილეს. თუმცა, ეს მოთხოვნა საბოლოოდ და სამართლებრივი ვალდებულების სახით მხოლოდ 1949 წლის ჟენევის კონვენციებით გაიწერა.⁴¹

ნებისმიერ შემთხვევაში, საერთაშორისო თუ არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტებში სხვა აქტორების მიერ კონვენციების შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულება ცალსახად აღიარეს ჟენევის კონვენციების მიღების შემდგომ პერიოდში. აღნიშნული დასტურდება ქვემოთ გაანალიზებული პრაქტიკით.⁴²

³⁸ Frédéric Sordet, *The Geneva Conventions of 1949: The Question of Scrutiny*, ICRC, Geneva, 1953, გვ. 21.

³⁹ ავტორი მიიჩნევს, რომ მესამე სახელმწიფოებთან მიმართებით ასეთი სამართლებრივი ვალდებულების დაწესება სწორედ “ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის [...] გამოიყენება ემსახურება”. *Ibid.*, გვ. 71.

⁴⁰ *Ibid.* მიუხედავად იმისა, რომ სიორედ ძირითადად მფარველ სახელმწიფოებზე წერს, ის ამ ახალ ვალდებულებას ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის მოთხოვნასთან კავშირში განიხილავს. ავტორი მიიჩნევს, რომ ეს წესი აუცილებელი ზრუნვის ვალდებულებას განეკუთვნება. *Ibid.* გვ. 44:

თუმცა, მფარველი სახელმწიფოებს, რომლებიც უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქმედებენ, საკმაოდ შეზღუდული საშუალებები გააჩნიათ. მიუხედავად ამისა, კონვენციების თანახმად, მფარველი სახელმწიფოები ამ შეზღუდული ბერკეტების პირობებშიც კი ვალდებული არიან შესთავაზონ დახმარება შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებს და ზედამხედველობა განახორციელონ კონვენციების შესრულებაზე. ჟენევის კონვენციების 1-ლი საერთო მუხლი, რომლის მიხედვითაც “მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ ნებისმიერ გარემოებაში შეასრულონ და უზრუნველყონ წინამდებარე კონვენციის შესრულება” მათთვის ისევე სავალდებულოა შესასრულებლად, როგორც შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებისთვის. ამ ვალდებულების შეუსრულებლობას სამართლებრივი შედეგებიც სდევს.

⁴¹ David Forsythe, “Who Guards the Guardians: Third Parties and the Law of Armed Conflict”, *American Journal of International Law*, Vol. 70, No. 1, 1976, გვ. 43.

⁴² სახელმეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენცია, 31(3)(b) მუხლი.

სამოცწლიანი სახელმწიფო პრაქტიკა

ჟენევის კონვენციების მიღების შემდგომ პერიოდში მესამე სახელმწიფოების პასუხისმგებლობის იდეას საწყის ეტაპზე დიდი დაინტერესება არ გამოუწვევია სამთავრობო თუ სამეცნიერო წრეებში. მხოლოდ 1968 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ თეირანში გამართულ ადამიანის უფლებების საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებული XXIII რეზოლუციის პრეამბულაში აღინიშნა, რომ ჟენევის კონვენციების ხელშემკვრელ მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა “მიიღონ ზომები სხვა სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წესების ნებისმიერ გარემოებაში შესრულების უზრუნველყოფის კუთხით, მაშინაც კი, როდესაც ისინი უშუალოდ არ არიან ამ შეიარაღებული კონფლიქტის მხარეები”.⁴³ რეზოლუცია სამოცდაშვიდი ხმით არცერთის წინააღმდეგ მიიღეს, ორმა სახელმწიფომ კი თავი შეიკავა ხმის მიცემისგან. მიუხედავად ამისა, დანამდვილებით ვერ ვიტყვით გულისხმობს თუ არა ტერმინი “პასუხისმგებლობა” სამართლებრივ ვალდებულებას.⁴⁴ თუმცა შემდგომი პრაქტიკა ადასტურებს, რომ კონვენციების შესრულების უზრუნველყოფის მოვალეობა იმპერატიული ხასიათისაა იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც შეიარაღებულ კონფლიქტში არ არიან ჩართული.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ ჟენევის კონვენციების შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულება იმპერატიული ხასიათისაა. სასამართლომ *ნიკარაგუას საქმეში* მიიჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტის მხარე არ იყო, მას მაინც ეკისრებოდა ჟენევის კონვენციების ნებისმიერ გარემოებაში შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულება.⁴⁵ სასამართლომ აგრეთვე მიუთითა, რომ ეს ვალდებულება “მხოლოდ ჟენევის კონვენციებიდან არ გამომდინარეობს და ის ჰუმანიტარული სამართლის ზოგად პრინციპსაც წარმოადგენს”.⁴⁶ სასამართლომ *ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე კედლის მშენებლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ* საკონსულტაციო დასკვნაში აღნიშნა, რომ “[ჟენევის მეოთხე კონვენციის] ყველა ხელშემკვრელ სახელმწიფოს ეკისრება სამართლებრივი ვალდებულება უზრუნველყოს ამ ინსტრუმენტის დაცვა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის შეიარაღებული კონფლიქტის მხარე”.⁴⁷

⁴³ International Conference on Human Rights, *Resolution XXIII: Human Rights in Armed Conflict*, Teheran, 12 May 1968, პრეამბულა, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: www1.umn.edu/humanrts/instrree/1968a.htm.

⁴⁴ კალსოვენი მიიჩნევს, რომ XXIII რეზოლუცია ჟენევის კონვენციების 1-ლ საერთო მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების არაპირდაპირ აღიარებად არ უნდა იქნეს გაგებული. Kalshoven, *supra note* 9, გვ. 43. სხვა ავტორები არ იზიარებენ მის მოსაზრებას. მაგალითად, იხილეთ F. Azzam, *supra note* 12, გვ. 62.

⁴⁵ ICJ, *Military and Paramilitary Activities in and against Nicaragua (Nicaragua v. United States of America)*, Judgment (Merits), 27 June 1986, para. 220.

⁴⁶ *Ibid.*

⁴⁷ ICJ, *Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory (Wall Case)*, Advisory Opinion, 9 July 2004, para. 158. აგრეთვე იხილეთ ICJ, *Armed Activities on the Territory of the Congo (Democratic Republic of the Congo v. Uganda)*, Judgment, 19 December 2005, paras 211 და 345. ამ საქმეში სასამართლოს დეტალურად არ განუხილავს მესამე სახელმწიფოების პასუხისმგებლობის საკითხი. თუმცა, სასამართლომ აღიარა, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულების უზრუნველყოფა საერთაშორისო სამართლით აღიარებული სამართლებრივი ვალდებულებაა.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გარდა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ და გენერალურმა ასამბლეამაც არაერთი რეზოლუცია მიიღო.⁴⁸ ამ რეზოლუციებში აღინიშნა მესამე სახელმწიფოების ვალდებულება, უზრუნველყონ შეიარაღებული კონფლიქტის მხარეების მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულება.⁴⁹ მაგალითად, უშიშროების საბჭომ მესამე სახელმწიფოებს მოუწოდა, მიეღოთ ზომები ისრაელ/პალესტინაში,⁵⁰ ბოსნია და ჰერცეგოვინაში⁵¹ და რუანდაში⁵² საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. ამასთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მიერ უშიშროების საბჭოსთვის წარდგენილ ანგარიშში არაორაზროვნად აღინიშნა, რომ:

[ქენევის მეოთხე კონვენციის] თანახმად, ყველა მაღალი ხელშემკვრელი სახელმწიფო კისრულობს არაერთ ცალმხრივ ვალდებულებას საკუთარი თავისა და სხვების წინაშე, რომ დაიცვას ის სამოქალაქო პირები, ვინც საომარი მოქმედებების შემდგომ პერიოდში ოკუპირებულ ტერიტორიებზე იმყოფებიან. უშიშროების საბჭომ ქენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესახებ უნდა შეახსენოს ქენევის მეოთხე კონვენციის იმ მაღალ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, რომლებსაც ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობები აქვთ, რათა "... უზრუნველყონ წინამდებარე კონვენციის ყველა გარემოებაში შესრულების უზრუნველყოფა". უშიშროების საბჭომ უნდა მოუწოდოს ამ სახელმწიფოებს, მიიღონ ყველა ზომა, რათა დაარწმუნონ ისრაელის მთავრობა კონვენციის მოქმედების საკითხზე თავისი სამართლებრივი პოზიციის შეცვლაში.⁵³

მსგავსი შინაარსის მოწოდება გაითვალისწინეს 1990 წლის დეკემბრის 45/69 რეზოლუციით, სახელად "პალესტინელი ხალხის ამბოხება (ინტიფადა)". გენერალურმა ასამბლეამ მიმართა არა მხოლოდ ოკუპანტ ძალას, რომ შეესრულებინა ქენევის მეოთხე კონვენციის დებულებები, არამედ კონვენციის ყველა მაღალ ხელშემკვრელ მხარესაც, რომ ქენევის კონვენციების 1-ლი საერთო მუხლის შესაბამისად ყველა ზომა მიეღოთ ისრაელის მიერ ... კონვენციების ნებისმიერ გარემოებაში შესრულების უზრუნველყოფის მიზნით".⁵⁴ ამავე

⁴⁸ კონდორელი და ბუასონ დე შაზურნი მიიჩნევენ, რომ "ბოლო ათი წლის განმავლობაში [1990-2000] ქენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლი მოქმედების ძირითად წესად ჩამოყალიბდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით". გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრაქტიკის უფრო დეტალური ანალიზისთვის იხილეთ L. Condorelli and L. Boisson de Chazournes, *supra* note 4, გვ. 76–78. აგრეთვე იხილეთ Toni Pfanner, "Various Mechanisms and Approaches for Implementing International Humanitarian Law and Protecting and Assisting War Victims", *International Review of the Red Cross*, Vol. 91, No. 874, 2009, გვ. 305–306 და 314–323.

⁴⁹ ანალოგიურად, სხვა სამთავრობათშორისო საერთაშორისო ორგანიზაციებმა წევრ სახელმწიფოებს მოუწოდეს ქენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის შესაბამისად უზრუნველყონ კონვენციების შესრულება. იხილეთ, მაგალითად NATO, Parliamentary Assembly, Civilian Affairs Committee Resolution No. 287, Amsterdam, 15 November 1999, para. 7.

⁵⁰ UN SC Res. 681 (1990), UN Doc. S/RES/681, 20 December 1990.

⁵¹ UN SC Res. 764 (1992), UN Doc. S/RES/764, 13 July 1992.

⁵² UN SC Res. 955 (1994), UN Doc. S/RES/955, 6 November 1994.

⁵³ Report Submitted to the Security Council by the Secretary-General in Accordance with Resolution 605 (1987), UN Doc. S/19443, 21 January 1988, paras 24–27.

⁵⁴ UN GA Res. 45/69, UN Doc. A/RES/45/69, 6 December 1990, para. 3.

ორგანომ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში მსგავსი შინაარსის არაერთი რეზოლუცია გამოსცა.⁵⁵

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მსგავსი შინაარსის მოწოდებებს ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებების ქვეკომისიის,⁵⁶ ადამიანის უფლებების კომისიის,⁵⁷ და მისი უფლებამონაცვლე ადამიანის უფლებების საბჭოს მხრიდანაც.⁵⁸

1974-1977 წლების ჟენევის დიპლომატიური კონფერენციის მონაწილეებმა კონვენციებისა და დამატებითი ოქმის შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულება 1949 წლის ჟენევის კონვენციების პირველი დამატებითი ოქმის 1(1) მუხლში გაწერეს. როგორც ლევრა აღნიშნავს, დამატებითი ოქმის შემქმნელებს “სრული ცოდნა ჰქონდათ” ამ ვალდებულების შინაარსის შესახებ.⁵⁹ ომის მსხვერპლთა დაცვის 1993 წლის საერთაშორისო კონფერენციის საბოლოო დეკლარაციაში კიდევ ერთხელ გაიმეორეს, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულებისა და მისი შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულება გულისხმობს მოვალეობას უზრუნველყოფილი იყოს “საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ეფექტურობა და სამართლის მოთხოვნების შესაბამისად მტკიცე ზომები იქნეს მიღებული იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც არღვევენ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს, რათა აღმოიფხვრას ასეთი დარღვევები”.⁶⁰ ორი წლის შემდეგ, 1995 წელს, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის 26-ე საერთაშორისო კონფერენციაზე კონსენსუსით მიღებულ 1-ლ რეზოლუციაში კიდევ ერთხელ აღიარეს, რომ “ყველა სახელმწიფო ვალდებულია ნებისმიერ გარემოებაში შეასრულოს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წესები და პრინციპები ... და უზრუნველყონ კონვენციებისა და დამატებითი ოქმების შესრულება”; ამრიგად, კონფერენციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ეს ვალდებულება უდავოდ იმპერატიული ხასიათისაა.⁶¹

⁵⁵ იხილეთ მაგალითად UN GA Res. 60/105, UN Doc. A/RES/60/105, 8 December 2005, para. 3; UN GA Res. 62/107, UN Doc. A/RES/62/107, 17 December 2007, para. 3; UN GA Res. 63/96, UN Doc. A/RES/63/96, 5 December 2008, para. 3; UN GA Res. 68/81, UN Doc. A/RES/68/81, 16 December 2013, para. 3; and UN GA Res. 68/82, UN Doc. A/RES/68/82, 16 December 2013, para. 7.

⁵⁶ იხილეთ მაგალითად UN Sub-Commission on Human Rights, Res. 1990/12, 30 August 1990, para. 4; Res. 1991/6, 23 August 1991, para. 4; Res. 1992/10, 26 August 1992, para. 4; and Res. 1993/15, 20 August 1993, para. 4.

⁵⁷ იხილეთ მაგალითად UN Commission on Human Rights, Res. 2005/7, 14 April 2005, პრეამბულა და para. 5. ეს რეზოლუცია “*მოუწოდებს* წევრ სახელმწიფოებს მიიღონ ყველა ზომა, რათა შეასრულონ ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ინსტრუმენტებით გათვალისწინებული ვალდებულება რათა უზრუნველყონ, რომ ისრაელმა შეწყვიტოს პალესტინელების, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვების მკვლელობა, დამიზნება, დაკავება და დევნა”.

⁵⁸ Human Rights Council, UN Doc. A/HRC/4/NGO/59, 7 March 2007.

⁵⁹ Nicolas Levrat, “Les conséquences de l’engagement pris par les Hautes Parties contractantes de ‘faire respecter’ les Conventions humanitaires”, in Frits Kalshoven and Yves Sandoz (eds), *Mise en œuvre du droit international humanitaire*, Martinus Nijhoff Publishers, Dordrecht and Boston, 1989, გვ. 269. აგრეთვე იხილეთ Y. Sandoz, C. Swinarski and B. Zimmermann, *supra note* 14, para. 44: “დიპლომატიური კონფერენციის მონაწილეებს ზუსტად ესმოდათ ამ ვალდებულების მნიშვნელობა და სურდათ ის კონვენციის ყველა ხელშემკვრელ სახელმწიფოზე გაეკრეცლებინათ. აქედან გამომდინარე, ეს ვალდებულება მათ დამატებით ოქმში ზოგადი პრინციპის სახით გაწერეს”.

⁶⁰ Final Declaration of the International Conference for the Protection of War Victims, Geneva, 1 September 1993, II(11), ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: www.icrc.org/eng/resources/documents/misc/57jms8.htm.

⁶¹ აგრეთვე იხილეთ 30th International Conference of the Red Cross and Red Crescent, Resolution 3, 2007, para. 2.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი გამუდმებით და საჯაროდ უსვამდა ხაზს ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის ამ ასპექტს და შეახსენებდა სახელმწიფოებს ამ დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებას. კომიტეტი კონფიდენციალურად თუ საჯაროდ, ინდივიდუალურად თუ ზოგადად იღებდა ზომებს, რათა წახეხილიყვნა სახელმწიფოები, მათ შორის სახელმწიფოები, რომლებიც არ წარმოადგენდნენ შეიარაღებული კონფლიქტის მხარეს, რომ გამოეყენებინათ თავიანთი გავლენა ან შეეთავაზებინათ თანამშრომლობა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულების უზრუნველსაყოფად.⁶² როდესაც შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა ინტერესების გათვალისწინებით ასეთი აუცილებლობა არსებობს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ყველა მაღალ ხელშემკვრელ მხარეს მოუწოდებს მიიღონ, ზომები ცალკეულ სიტუაციასთან მიმართებით. ასეთ დროს კომიტეტი მოქმედების ყველაზე ოპტიმალურ ფორმას შეარჩევს; უკიდურეს და გამონაკლის შემთხვევებში კი - საჯარო განცხადებას გააკეთებს ცალკეულ სიტუაციასთან მიმართებით. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლ მუხლზე დაყრდნობით მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს მოუწოდა გაეტარებინათ შესაბამისი ზომები შემდეგ შემთხვევებში: 1974 წელს (ახლო აღმოსავლეთი), 1979 წელს (როდეზია/ზიმბაბვე), 1980 წელს (ავღანეთი), 1983 წელს და 1984 წელს (ირანი და ერაყი), 1992 წელს (ბოსნია და ჰერცეგოვინა) და 1995 წელს (რუანდა). ამასთან, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის 28-ე საერთაშორისო კონფერენციის მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა 2003 წელს ორგანიზება გაუწია ექსპერტთა არაერთ რეგიონულ სემინარს. სემინარების მონაწილეებმა დაადასტურეს, რომ ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის თანახმად, მესამე სახელმწიფოებს ეკისრებათ როგორც ნეგატიური, ისე - პოზიტიური სამართლებრივი ვალდებულება. ამრიგად, მათ ეკრძალებათ არა მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტის მხარის წაქეზება ან დახმარება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის კუთხით, არამედ ეკისრებათ შესაბამისი ზომების მიღების ინდივიდუალური ან კოლექტიური ვალდებულებაც შეიარაღებული კონფლიქტის იმ მხარეების წინააღმდეგ, რომლებიც არღვევენ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს.⁶³

არაერთხელ აღინიშნა, რომ დიპლომატიური ურთიერთობების კონფიდენციალურობის გათვალისწინებით საკმაოდ რთულია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მესამე სახელმწიფოების მიერ გატარებული ზომების საილუსტრაციო პრაქტიკის მოძიება.⁶⁴ ამრიგად, განსაკუთრებით 1990-იანი წლების დასაწყისში ექსპერტები დანამდვილებით ვერ საუბრობდნენ, თუ რამდენად ჰქონდათ მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს ვალდებულების შეგრძნება, რომ ემოქმედათ სხვა სახელმწიფოების მიერ შეიარაღებულ კონფლიქტებში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების აღმოსაფხვრელად.⁶⁵ თუმცა, ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ ჟენევის კონვენციების

⁶² იხილეთ მაგალითად F. Bugnion, *supra note* 17, გვ. 1081.

⁶³ ICRC, *International Humanitarian Law and the Challenges of Contemporary Armed Conflicts*, Geneva, December 2003, გვ. 47, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: www.icrc.org/eng/assets/files/other/ihlcontemp_armedconflicts_final_ang.pdf.

⁶⁴ Hans-Peter Gasser, "Ensuring Respect for the Geneva Conventions and Protocols: The Role of the Third States and the United Nations", in Hazel Fox and Michael A. Meyer (eds), *Effecting Compliance, British Institute of International and Comparative Law*, 1993, გვ. 31; L. Condorelli and L. Boisson de Chazournes, *supra note* 7, გვ. 27; N. Levrat, *supra note* 59, გვ. 291; T. Zych, *supra note* 7, გვ. 256.

⁶⁵ H.-P. Gasser, *supra note* 64, გვ. 32.

საერთო 1-ლი მუხლის უდავო გარე ასპექტის გათვალისწინებით ასეთი პასიურობის “გამართლება და გაგებაც კი ძალიან რთული იყო”.⁶⁶ უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში მზარდი ტენდენცია ცხადყოფს, რომ ამ ვალდებულების საილუსტრაციო პრაქტიკის არარსებობა ეჭვქვეშ არ აყენებს ამ წესის გარე ასპექტის არსებობას. ყურადსაღებია, რომ ევროპის კავშირმა საჭიროდ ჩათვალა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულების ხელშეწყობის მიზნით სპეციალური სახელმძღვანელო პრინციპების მიღება.⁶⁷ ამ დოკუმენტის მიხედვით: “სახელმძღვანელო პრინციპები შეესაბამება ევროპის კავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების ვალდებულებებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სფეროში, და მიზნად ისახავს მესამე სახელმწიფოების მიერ, და ცალკეულ შემთხვევებში მესამე სახელმწიფოებში მოქმედი არასახელმწიფო აქტორების მიერ, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულების უზრუნველყოფას”. სახელმძღვანელო პრინციპები იმ ზომებზეც საუბრობს, რომელთა გამოყენებაც ევროკავშირს მესამე სახელმწიფოებთან ურთიერთობებში შეუძლია.

პოზიტიური ვალდებულების არსებობას უფრო კონტექსტუალური სახელმწიფო პრაქტიკაც ადასტურებს.⁶⁸ მაგალითად, 1980 წელს, ევროპის კავშირის წინამორბედის - ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის (ECC) წევრმა სახელმწიფოებმა გამოსცეს ვენეციის დეკლარაციის სახელით ცნობილი ერთობლივი განცხადება, რომლის თანახმადაც ისრაელის მიერ შექმნილი დასახლებები საერთაშორისო სამართლის მიხედვით უკანონო იყო. ვენეციის დეკლარაციით ევროპის ეკონომიკურმა თანამეგობრობამ აღიარა, რომ “ისრაელმა უნდა შეწყვიტოს იმ ტერიტორიის ოკუპაცია, რომელსაც ის 1967 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შემდგომი პერიოდიდან მოყოლებული იკავებს”.⁶⁹ მას შემდეგ, მრავალმა ევროპულმა ინსტიტუციამ, მათ შორის

⁶⁶ *Ibid.*

⁶⁷ European Union, “Updated European Union Guidelines on Promoting Compliance with International Humanitarian Law (IHL)”, *Official Journal of the European Union*, Doc. 2009/C 303/06, 15 December 2009, გვ. 12–15, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: [http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:52009XG1215\(01\)&from=EN](http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:52009XG1215(01)&from=EN).

⁶⁸ ამ სტატიაში მოცემული პრაქტიკის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ICRC database on State practice, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: www.icrc.org/customary-ihl/eng/docs/v2_rul_rule144. აგრეთვე იხილეთ Birgit Kessler, “The Duty to ‘Ensure Respect’ under Common Article 1 of the Geneva Conventions: Its Implications on International and Non-International Armed Conflicts”, *German Yearbook of International Law*, Vol. 44, 2001, გვ. 509. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ავტორი ამას არ აღიარებს, ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლი გამოყენებულ იქნა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებთან მიმართებითაც, იხილეთ სირიასთან, ლიბიასა და სუდანთან მიმართებით სტატიაში მოყვანილი მაგალითები.

⁶⁹ “The Venice Declaration”, *Palestine-Israel Journal of Politics, Economics and Culture*, Vol. 6, No. 2, 1999.

ევროპის საბჭომ,⁷⁰ ევროკომისიამ,⁷¹ ევროპის კავშირის საბჭომ,⁷² და ევროპის კავშირის წარმომადგენლებმა,⁷³ არაერთხელ და საჯაროდ გაიმეორეს, რომ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმში, დასახლებების მშენებლობა იკრძალება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით.

დარფურის რეგიონში ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის განმეორებითი დარღვევების საპასუხოდ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სუდანის წინააღმდეგ არაერთი ეკონომიკური სანქცია დააწესა. კერძოდ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სუდანს დაუწესა სავაჭრო ემბარგო, რომელიც კრძალავდა სუდანში წარმოებული საქონლისა და მომსახურების იმპორტს, და ამავდროულად შეიმუშავა “მიზნობრივი სანქციები იმ პირებისა და ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც დარფურის რეგიონში შეიარაღებული კონფლიქტის წარმოებას უწყობდა ხელს”.⁷⁴ ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული, რომ ეკონომიკური სანქციები მხოლოდ ერთ-ერთია იმ ბერკეტებს შორის, რომელთა გამოყენებაც სახელმწიფოებს სხვების მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულების უზრუნველსაყოფად შეუძლიათ.

2011 წელს ლიბიაში მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტთან მიმართებით სახელმწიფოებმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით დაგმეს განურჩეველი თავდასხმები, რომლებსაც სამოქალაქო მოსახლეობა ემსხვერპლა, და მოუწოდეს ლიბიის მთავრობას დაეცვა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი;⁷⁵ 2011 წლის თებერვალში ევროპის კავშირმა დაამტკიცა სანქციების პაკეტი ლიბიის ლიდერების წინააღმდეგ, რომელიც სხვა ასპექტებთან ერთად გულისხმობდა ემბარგოს იარაღზე და მგზავრობის აკრძალვას.⁷⁶

სირიაში ამჟამად მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტთან მიმართებით არაერთმა მესამე სახელმწიფომ მიიღო ზომა მებრძოლი მხარეების მიერ საერთაშორისო

⁷⁰ მაგალითად European Council, Presidency Conclusions of the European Council: Annex V, 25 and 26 June 1990, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://europa.eu/rapid/pressReleasesAction.do?reference=DOC/90/2&format=HTML&aged=0&language=EN&guiLanguage=en>; Presidency Conclusions Brussels European Council, 17 October 2003, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://europa.eu/rapid/pressReleasesAction.do?reference=DOC/03/4&format=HTML&aged=0&language=EN&guiLanguage=en>.

⁷¹ მაგალითად, იხილეთ European Commission, *EU-Israel: Implementation of the Interim Agreement in the Framework of a Strengthened Regional Cooperation*, 13 May 1998, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://europa.eu/rapid/pressReleasesAction.do?reference=IP/98/426&format=HTML&aged=0&language=EN&guiLanguage=en>; და Jerusalem and Ramallah Heads of Mission Report on East Jerusalem, 2005, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: www.nodo50.org/csca/agenda05/palestina/jerusalem-ue_eng.pdf.

⁷² Council of the European Union, *Declaration by the Presidency on Behalf of the EU on Israeli Settlements*, 9 September 2009, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://europa.eu/rapid/press-release_PESC-09-106_en.htm?locale=EN.

⁷³ მაგალითად იხილეთ: “EU’s Ashton Criticizes Israel for Approval of ‘Illegal’ Settlement Homes”, *Haaretz*, 23 February 2012, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: www.haaretz.com/news/diplomacy-defense/eu-s-ashton-criticizes-israel-for-approval-of-illegal-settlement-homes-1.414327.

⁷⁴ Department of the Treasury, *An Overview of the Sudanese Sanctions Regulations*, 25 July 2008, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: www.treasury.gov/resource-center/sanctions/Programs/Documents/sudan.pdf.

⁷⁵ Human Rights Council, “Council Holds Interactive Dialogue with Commission of Inquiry on alleged Human Rights Violations in Libya”, 9 June 2011, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: www.ohchr.org/en/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=11131&LangID=E.

⁷⁶ “EU Agrees Libya Arms Embargo, Travel Ban”, Reuters, 28 February 2011, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: www.reuters.com/article/2011/02/28/eu-libya-sanctions-idAFLDE71R1NI20110228.

ჰუმანიტარული სამართლის შესრულების უზრუნველყსაყოფად. 2012 წლის მაისში სირიის ქალაქ ჰულაში სამოქალაქო მოსახლეობის მკვლელობის საპასუხოდ პროტესტის ნიშნად საკუთარი ტერიტორიიდან სირიელი დიპლომატები გააძევა ათობით სახელმწიფომ ამერიკაში, ევროპასა და ავსტრალიაში.⁷⁷ ევროპის კავშირმა (ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოებთან ერთად) სირიაში ჩადენილი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის “საშინელი” დარღვევების (მათ შორის სამოქალაქო მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებაზე უარის თქმა, ჰუმანიტარული დახმარების პერსონალზე თავდასხმა, ალყისა და დამშევის საომარ მეთოდად გამოყენება, განურჩეველი თავდასხმები, რომლებსაც სამოქალაქო მოსახლეობა ემსხვერპლა და შეიარაღებულ ძალებში ბავშვების ჩართვა) აღმოფხვრისთვის გამიზნული დიპლომატიური ნაბიჯის განსამარტად ღიად მიუთითა ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლ მუხლზე:

ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სრული უგულებელყოფა შემამფოთებელია და ყველა ჩვენგანის საქმეა ... ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლი აშკარად მოითხოვს, რომ ყველა მაღალი ხელშემკვრელი მხარე “ვალდებულებას კისრულობს შეასრულოს და უზრუნველყოს ჟენევის კონვენციების შესრულება ნებისმიერ გარემოებაში”. ამრიგად, თითოეული ჩვენგანის კოლექტიური ვალდებულება არა მხოლოდ შევასრულოთ კონვენციის მოთხოვნები, არამედ უზრუნველყოთ ჰუმანიტარული პრინციპების შესრულება შეიარაღებული კონფლიქტის მხარეების მიერაც. ჩვენი ვალია ხელი შევუწყოთ ამ წესების აღსრულებას.⁷⁸

საბოლოო ჯამში, ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის შემუშავების ისტორია და შემდგომი პრაქტიკა, მათ შორის საერთაშორისო ტრიბუნალებისა და საერთაშორისო სამთავრობათშორისო ორგანიზაციების გამოცდილება ცხადყოფს,⁷⁹ რომ სახელმწიფოებს, რომლებიც არ წარმოადგენენ შეიარაღებული კონფლიქტის მხარეს, ეკისრებათ სამართლებრივი ვალდებულება პოზიტიური ნაბიჯების გზით უზრუნველყონ ჟენევის კონვენციების შესრულება, და უფრო ზოგადად, სამართლის ამ დარგის გამოყენება.⁸⁰ ამრიგად, საჭიროა განიმარტოს ამ სამართლებრივი ვალდებულების ზუსტი შინაარსი და ფარგლები.

შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულების ხასიათი

საერთაშორისო მასშტაბით არამართლზომიერი ქმედებისთვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტის 48-ე მუხლის თანახმად, ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც არ არის უშუალოდ დაზარალებული სახელმწიფო, უფლება აქვს მოითხოვოს სხვა სახელმწიფოზე პასუხისმგებლობის დაკისრება, თუკი ვალდებულება,

⁷⁷ “Several Countries Expel Syrian Diplomats as EU Mulls Joint Expulsion”, Al Arabiya News, 29 May 2012, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://english.alarabiya.net/articles/2012/05/29/217206.html>.

⁷⁸ EU Statement, with the alignment of Iceland, Montenegro, Serbia, Albania, Bosnia and Herzegovina and the countries of the Stabilization and Association Process, United Nations General Assembly: Humanitarian Situation in Syria, 25 February 2014, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: www.eu-un.europa.eu/articles/en/article_14647_en.htm.

⁷⁹ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული რეზოლუციების, დეკლარაციების და სხვა ნორმატიული ინსტრუმენტების *opinion juris* ფორმირების ჭრილში განხილვაზე იხილეთ Theodor Meron, *Human Rights and Humanitarian Norms as Customary Law*, Clarendon Press, Oxford, 1989.

⁸⁰ ICJ, *Nicaragua v. United States of America*, *supra* note 45, para. 220.

რომელიც არ შესრულდა, “მთლიანად საერთაშორისო საზოგადოებას ეკუთვნის”. ჟენევის კონვენციები სწორედ ასეთ ვალდებულებებს განეკუთვნება, ვინაიდან შესაბამისი დებულებებით გათვალისწინებული ცალკეული მოთხოვნები *erga omnes* ხასიათისაა.⁸¹ ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის შესაბამისად, კონვენციების შესრულების უზრუნველყოფის გარე ასპექტი განსხვავდება საერთაშორისო სამართალში *erga omnes* ვალდებულების დარღვევის გამო სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების შემთხვევისგან.⁸² როგორც წინა თავებში აღინიშნა - და როგორც ამას საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა ფორუმების ეგიდით ჩამოყალიბებული სახელმწიფო პრაქტიკა ადასტურებს - ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლი ცდება მესამე სახელმწიფოს უფლებას გადადგას ქმედითი ნაბიჯები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულების უზრუნველყოფისთვის. ეს დებულება აწესებს არა მხოლოდ უფლებას, არამედ მოვალეობასაც. ტერმინი “კისრულობენ” რეალური ვალდებულების არსებობას გულისხმობს⁸³ და ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის ყველა ასპექტს ეხება, მათ შორის შიდა და გარე კომპონენტებს. სხვების მიერ კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების იმპერატიულ ხასიათთან დაკავშირებით ჟენევის კონვენციების კომენტარები აღნიშნავენ, რომ საერთო 1-ლი მუხლი არ არის მხოლოდ სტილისტური დებულება, არამედ ის იმპერატიულ მოთხოვნებს აწესებს.⁸⁴ ტერმინი - “კისრულობენ” - ანალოგიურად არის განმარტებული ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის კომენტარებსა⁸⁵ და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ

⁸¹ იხილეთ International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia (ICTY), *The Prosecutor v. Zoran Kupreskic and Others*, Case No. IT-95-16-T, Judgment (Trial Chamber), 14 January 2000, para. 519:

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების იმპერატიული ხასიათიდან გამომდინარე სამართლის ეს დარგი მხოლოდ ორმხრივ ვალდებულებებს არ ითვალისწინებს, ე. ი. ერთი სახელმწიფოს ვალდებულებებს მეორის მიმართ. როგორც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ განმარტა, არსებობს ვალდებულებები მთელი საერთაშორისო საზოგადოების წინაშე და ამრიგად, საერთაშორისო საზოგადოების ყველა წევრს აქვს “სამართლებრივი ინტერესი” მათი შესრულების კუთხით და მათ უფლება აქვთ მოითხოვონ ასეთი ვალდებულებების შესრულება.

აგრეთვე იხილეთ Tihomir Kamenov, “The Origin of State and Entity Responsibility for Violations of International Humanitarian Law in Armed Conflicts”, in Frits Kalshoven and Yves Sandoz (eds), *Implementation of International Humanitarian Law*, Martinus Nijhoff Publishers, Dordrecht and Boston, 1989, გვ. 193–194; Lindsay Moir, *The Law of Internal Armed Conflict*, Cambridge University Press, Cambridge and New York, 2002, გვ. 245; ICJ, *Wall Case*, *supra note 47*, paras 155–157; ICJ, *Barcelona Traction Light and Power Company Limited*, Judgment, ICJ Reports 1970, paras 33–34:

არსებობს არსებითი განსხვავება ერთის მხრივ, მთლიანად საერთაშორისო საზოგადოების წინაშე არსებულ ვალდებულებებსა და მეორეს მხრივ, სხვა სახელმწიფოებს შორის არსებულ ვალდებულებებს შორის... თავისი ხასიათიდან გამომდინარე პირველი მათგანი ყველა სახელმწიფოს მოიაზრებს. ასეთი უფლებების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყველა სახელმწიფოს აქვს სამართლებრივი ინტერესი რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი დაცვა; ეს *erga omnes* ვალდებულებებია.

⁸² კედლის საქმეში მართლმსაჯულების სასამართლომ ცალსახად გამიჯნა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის *erga omnes* ვალდებულებები და ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის შესაბამისად მესამე სახელმწიფოების მიერ კონვენციების ყველა გარემოებაში დაცვის ვალდებულებები. იხილეთ ICJ, *Wall Case*, *supra note 47*, paras 155–159. *Erga omnes* ვალდებულებებისა და *erga omnes partes* ვალდებულებების დეტალური ანალიზისთვის იხილეთ Christian J. Tams, *Enforcing Obligations Erga Omnes in International Law*, Cambridge University Press, Cambridge, 2010, გვ. 117–157.

⁸³ ICJ, *Nicaragua v. United States of America*, *supra note 45*, para. 220.

⁸⁴ J. Pictet, *supra note 12*, გვ. 17.

⁸⁵ Y. Sandoz, C. Swinarski and B. Zimmermann, *supra note 14*, para. 40. Michael Bothe, Karl Josef Partsch and Waldemar A. Solf, *New Rules for the Victims of Armed Conflicts: Commentary on the Two 1977 Protocols Additional to the Geneva Conventions of 1949*, Martinus Nijhoff Publishers, The Hague and Boston, 1982, გვ. 43:

მიღებულ გადაწყვეტილებაში გენოციდის კონვენციის შესახებ.⁸⁶ ამას ადასტურებს წინა თავში განხილული საერთაშორისო სასამართლოებისა და ტრიბუნალების გადაწყვეტილებები, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით მიღებული რეზოლუციებიც. ამრიგად, მთავარი კითხვა ის არ არის, თუ რამდენად ითვისავენ ჩვენების კონვენციების საერთო 1-ლი მუხლი შესასრულებლად სავალდებულო სამართლებრივ ვალდებულებას, არამედ ის - თუ რას გულისხმობს ეს ვალდებულება.

მოქმედების ვალდებულება

საერთაშორისო და ეროვნული სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებები შესაძლოა ორ კატეგორიად დაიყოს.⁸⁷ ერთის მხრივ, არსებობს ვალდებულებები, რომლებიც შედეგზე არის ორიენტირებული, რაც იმას გულისხმობს, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი შედეგის დადგომა. მეორეს მხრივ, არსებობს ე.წ. საშუალებების ვალდებულებები, რომლებიც აუცილებელი ზრუნვის ვალდებულებების სახელითაც არის ცნობილი. აღნიშნული გულისხმობს, რომ სახელმწიფოები ვალდებულნი არიან იმოქმედონ კონკრეტული მიზნის მისაღწევად; იმისთვის, რომ ვალდებულება შესრულებულად ჩაითვალოს, აუცილებელი არ არის, რომ ასეთი შედეგი რეალურად დადგეს. ამრიგად, “შედეგზე ორიენტირებული ვალდებულება სახელმწიფოებისგან მოითხოვს, რომ მათ ‘წარმატებით’ მიაღწიონ დასახულ მიზანს, ხოლო აუცილებელი ზრუნვის ვალდებულება მათგან მოითხოვს, რომ ‘ეცადონ’ დადგეს ასეთი შედეგი”.⁸⁸ ზოგიერთი ავტორი მიიჩნევდა, რომ თუკი მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვერ უზრუნველყოფდნენ ჩვენების კონვენციების შესრულებას, მათ შესაძლოა პასუხისმგებლობა დაკისრებოდათ ჩვენების კონვენციების საერთო 1-ლი მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისთვის.⁸⁹ თუმცა, ეს ასე არ არის. სახელმწიფოს, რომელიც კონკრეტული შეიარაღებული კონფლიქტის მხარე არ არის, პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრება, თუკი რეალური შედეგი არ დადგა - მაგალითად, თუკი შეიარაღებული კონფლიქტის მხარემ არ შეწყვიტა საერთაშორისო ჰუმანიტარული

ვინაიდან 1-ლი პარაგრაფის მიხედვით მაღალ ხელშემკვრელი მხარეების ვალდებულებები მხოლოდ თავიანთი ტერიტორიებით არ შემოიფარგლება, დამატებითი ოქმის შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულება შეიარაღებული კონფლიქტის არამხარე სახელმწიფოებზეც ვრცელდება. მათ უნდა გამოიყენონ ყველა ხელმისაწვდომი ბერკეტი, რათა უზრუნველყონ სხვა მაღალი ხელშემკვრელი მხარეების მიერ დამატებითი ოქმის შესრულება.

⁸⁶ ICJ, *Application of the Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide (Bosnia and Herzegovina v. Serbia and Montenegro)*, Judgment, ICJ Reports 2007, para. 162:

ტერმინის - “კისრულობენ” - ჩვეულებრივი მნიშვნელობა გულისხმობს ფორმალურ დაპირებას, თანხმობას, ვალდებულების აღებას. ეს ტერმინი ხშირად გამოიყენება ხელშეკრულებებში... ამ ტერმინის გამოყენება შემთხვევითი ან მნიშვნელობას მოკლებული არ არის. ტერმინი ისე არ უნდა იქნას გაგებული, რომ სამომავლო ქმედებებზე მიუთითებდეს, როგორცაა კანონმდებლობის მიღება, სამართლებრივი დევნის დაწყება ან ექსტრადიცია. 1-ლი მუხლით გათვალისწინებული წესი გულისხმობს სამართლებრივ ვალდებულებას დარღვევების თავიდან აცილების შესახებ. ეს წესი შინაარსობრივად განსხვავდება მომდევნო მუხლებში გაწერილი ნორმებისაგან. ეს განმარტება შესაბამისობაშია კონვენციის ჰუმანიტარულ მიზნებთან.

⁸⁷ Riccardo Pisillo-Mazzeschi, “The Due Diligence Rule and the Nature of the International Responsibility of States”, *German Yearbook of International Law*, Vol. 35, 1992, გვ. 47-48.

⁸⁸ *Ibid.*, გვ. 48.

⁸⁹ მაგალითად, იხილეთ F. Azzam, *supra note* 12, გვ. 73-74.

სამართლის დარღვევა. მესამე სახელმწიფოს მხოლოდ აუცილებელი ზრუნვის ვალდებულება ეკისრება, რომ შეარჩიოს სათანადო ზომები, რათა შეიარაღებული კონფლიქტის მხარემ დაიცვას სამართლის მოთხოვნები. სახელმწიფოებს მხოლოდ ის ევალებათ, რომ თავიანთი გავლენის ფარგლებში უზრუნველყონ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულება ყველა სხვა სახელმწიფოს მიერ.⁹⁰ სახელმწიფოებს შესაძლოა სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროთ, თუკი ისინი არ მიიღებენ ასეთ ზომებს. უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების კომპლექსურობა, მათ შორის პოლიტიკური დინამიკა ამ ვალდებულების მნიშვნელობას არ აკნინებს.⁹¹ პირიქით, სახელმწიფოს, რომელსაც შეიარაღებული კონფლიქტის ერთ-ერთ მხარესთან ახლო პოლიტიკური, ეკონომიკური ან/და სამხედრო კავშირები აქვს (მაგალითად, შეიარაღებული ძალების იარაღით აღჭურვის და წვრთნის ან ოპერაციების ერთობლივად დაგეგმვის გზით), უფრო მეტად ევალება უზრუნველყოს მისი მოკავშირის მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულება.⁹² სწორედ ეს არის ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის ძირითადი არსი. ეს მექანიზმი აძლიერებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სხვა წესებს და მათ შესრულებას.⁹³

ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის მიზნების სწორად გააზრებაში გვეხმარება მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება *ბოსნია ჰერცეგოვინა სერბეთის და მონტენეგროს წინააღმდეგ*. სასამართლომ მიიჩნია, რომ გენოციდის კონვენციის 1-ლი მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება, რომ თავიდან იქნას აცილებული გენოციდი, აუცილებელი ზრუნვის ვალდებულებებს განეკუთვნება. სასამართლომ აუცილებელი ზრუნვის სტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სახელმწიფოებს ეკისრებათ სამართლებრივი ვალდებულება “მიიღონ მათ ყველა გონივრული და შესაძლო ზომა” და მათ პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეკისრებათ, თუკი ისინი “ცალსახად არ გამოიყენებენ მათ ხელთ არსებულ ყველა საჭირო ბერკეტს გენოციდის პრევენციისთვის, რომელიც ხელს შეუწყობდა ამ დანაშაულის პრევენციას”.⁹⁴ სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ აუცილებელი ზრუნვის

⁹⁰ L. Condorelli and L. Boisson de Chazournes, *supra* note 4, გვ. 39; Paolo Benvenuti, “Ensuring Observance of International Humanitarian Law: Function, Extent and Limits of the Obligation of Third States to Ensure Respect of IHL”, *International Institute of Humanitarian Law Yearbook*, 1989–1990, გვ. 29; M. Bothe, K. J. Partsch and W. A. Solf, *supra* note 85, გვ. 43.

⁹¹ F. Azzam, *supra* note 12, გვ. 74.

⁹² H-P. Gasser, *supra* note 64, გვ. 28.

⁹³ Laurent Colassis, “The Role of the International Committee of the Red Cross in Stability Operations”, in Raul A. “Pete” Pedrozo (ed.), *The War in Iraq: A Legal Analysis, US Naval War College International Law Studies*, 2010, გვ. 467–468.

⁹⁴ See ICJ, *Bosnia and Herzegovina v. Serbia and Montenegro*, *supra* note 86, para. 430:

აშკარაა, რომ ეს ვალდებულება შედეგობრივი არ არის და მხოლოდ მიზნის მიღწევის მიზნით შესაბამისი ზომების მიღებას მოითხოვს. ასე რომ, სახელმწიფოს არ მოეთხოვება, რომ რეალური შედეგი წარმატებით დადგეს. სახელმწიფოებმა მათ ხელთ არსებული ყველა გონივრული ბერკეტი უნდა გამოიყენონ, რომ უზრუნველყონ გენოციდის პრევენცია. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება მხოლოდ იმ ფაქტის გამო, რომ სათანადო შედეგის მიღწევა ვერ მოხერხდა; თუმცა, ასეთი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, თუკი სახელმწიფო არ მიიღებს ყველა საჭირო და ხელმისაწვდომ ზომას გენოციდის პრევენციისთვის და ამავდროულად აშკარაა, რომ ასეთი ღონისძიებების გატარება ხელს შეუწყობდა გენოციდის პრევენციას. აღნიშნულ საკითხზე “აუცილებელი ზრუნვის” ცნება, რაც შემთხვევის *in concreto* შეფასებას მოითხოვს, გადაწყვეტი მნიშვნელობისაა. იმის დასადგენად, თუ რამდენად შესრულა სახელმწიფომ აუცილებელი ზრუნვის ვალდებულება, არაერთი ფაქტორი უნდა იყოს მიღებული მხედველობაში. აღნიშნული დამოკიდებული იქნება კონკრეტულ სახელმწიფოზე და მის შესაძლებლობაზე გავლენა იქონიოს სხვებზე.

ვალდებულება მხოლოდ *in concreto* შეფასდება.⁹⁵ იგივე შეიძლება ითქვას აუცილებელი ზრუნვის ყველა ვალდებულებაზე,⁹⁶ მათ შორის, სხვების მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულებაზეც.⁹⁷ ამრიგად, მხოლოდ კონკრეტული შემთხვევების შეფასებით დადგინდება, რეალურად დაარღვია თუ არა სახელმწიფომ ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლი. ასეთი შეფასების პროცესში ყურადღება უნდა მიექცეს, იმას, თუ რამდენად ჰქონდა სახელმწიფოს შესაძლებლობა, რომ გავლენა მოეხდინა შეიარაღებული კონფლიქტის მხარეზე, ისევე როგორც პოტენციური დარღვევის სიმძიმეს.⁹⁸ მაგალითად, C სახელმწიფო, რომელიც არ წარმოადგენს შეიარაღებული კონფლიქტის მხარეს, ვერ შეძლებს გაამართლოს პასიურობა A სახელმწიფოს მიერ B სახელმწიფოს მიმართ ჩადენილი ჟენევის კონვენციების მძიმე დარღვევებისთვის, თუკი C სახელმწიფოს A სახელმწიფოსთან “განსაკუთრებული ურთიერთობა” ჰქონდა.⁹⁹ ასეთი განსაკუთრებული კავშირის არსებობა ცალსახა იქნება, თუკი მესამე სახელმწიფო პირდაპირ ან არაპირდაპირ აქტიურად უჭერს მხარს შეიარაღებული კონფლიქტის მხარე სახელმწიფოს.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოსაყენებელი შესაძლო ბერკეტები

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით იმ სახელმწიფოს მიერ გამოსაყენებელი ბერკეტები, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის მხარეს არ წარმოადგენს, შესაძლოა სამ ზოგად კატეგორიად დაიყოს.¹⁰⁰ პირველ კატეგორიას განეკუთვნება დიპლომატიური ზეწოლა: მათ შორის, შესაბამისი ელჩისთვის პროტესტის გამოხატვა, საჯაროდ დაგმობა, შუამავლების ან საქმის ფაქტების დამდგენი საერთაშორისო კომისიისთვის (თუკი ორივე მხარეს აღიარებული აქვს კომისიის მანდატი)¹⁰¹ ან სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის

⁹⁵ *Ibid.*

⁹⁶ იხილეთ Robert P. Barnidge, “The Due Diligence Principle under International Law”, *International Community Law Review*, Vol. 8, 2006, გვ. 118: “მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი პრინციპები აბსტრაქტულად უნდა შეფასდეს, აუცილებელი ზრუნვის წესის გაანალიზებისთვის აუცილებელია, რომ მხედველობაში იქნას მიღებული კონკრეტული ფაქტები და გარემოებები”.

⁹⁷ T. Pfanner, *supra note* 48, გვ. 305.

⁹⁸ A. Devillard, *supra note* 9, გვ. 101; B. Kessler, *supra note* 68, გვ. 506: “ხელშეკრულების დარღვევის ინტენსივობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია, რაც სახელმწიფოებს ავალდებულებს, დამატებითი ზომები მიიღონ კონვენციების შესრულების უზრუნველსაყოფად”. ეს არის ჟენევის ხელშეკრულებების *ratio legis*.”

⁹⁹ კესლერი მიიჩნევს რომ “განსაკუთრებული ურთიერთობების” ცნება სხვადასხვა ფაქტორს აერთიანებს, როგორცაა “ისტორიული და ეთნიკური კავშირები, და გეოგრაფიული სიახლოვეც კი”. *Ibid.*, გვ. 506. როგორც ზემოთ აღინიშნა, გასერი ეკონომიკურ და სამხედრო გავლენაზე საუბრობს, იხილეთ H.-P. Gasser, *supra note* 64, გვ. 28.

¹⁰⁰ სრული ანალიზისთვის იხილეთ Umesh Palwankar, “Measures Available to States for Fulfilling their Obligation to Ensure Respect for International Humanitarian Law”, *International Review of the Red Cross*, Vol. 33, No. 298, 1993, გვ. 9–25. შესაძლო ზომები განხილულია ევროპის კავშირის სახელმძღვანელო პრინციპებში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესახებ (European Union, *supra note* 67). ამ ზომებს განეკუთვნება: პოლიტიკური დიალოგი, ზოგადი საჯარო განცხადებები, კონკრეტული კონფლიქტების შესახებ საჯარო განცხადებები, შეზღუდვები და სანქციები, თანამშრომლობა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კრიზისის მართვის ოპერაციები, ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, წვრთნა და მომზადება, იარაღის ექსპორტზე უარის თქმა.

¹⁰¹ API, 90-ე მუხლი.

გაგზავნა. მეორე კატეგორიას განეკუთვნება თავად ამ სახელმწიფოს მიერ იძულებითი ზომების მიღება, როგორცაა რეტორსია. მაგალითად, სირიელი დიპლომატების გაძევება შესაძლოა ამ კატეგორიაში მოხვდეს. და მესამე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მიღებული ზომები.¹⁰²

ცხადია, სახელმწიფოები თავად ირჩევენ მათ ხელთ არსებული ზომებიდან ყველაზე უფრო შესაფერის ბერკეტს. თუმცა, სახელმწიფოებმა ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლი ე.წ. “*droit d'ingerence humanitarie*” გამართლების მიზნით არ უნდა გამოიყენონ.¹⁰³ როგორც წესი, დაშვებული ზომები “პროტესტით, კრიტიკით, რეტორსიით ან არასამხედრო ხასიათის რეპრესალიებით” უნდა შემოიფარგლოს.¹⁰⁴ სამხედრო ინტერვენცია მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის შესაბამისად უნდა იქნას გამოყენებული.¹⁰⁵ ძალის გამოყენების მარეგულირებელი წესები (*jus ad bellum*) აწესრიგებს ძალის გამოყენების კანონიერების საკითხს, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ამ ზომების ძირითადი მიზანი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მნიშვნელოვანი დარღვევების აღკვეთაა. ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლი *jus ad bellum* დარგს არ განეკუთვნება და ამრიგად, ძალის გამოყენების სამართლებრივ საფუძვლად ვერ იქნება გამოყენებული.

ამ ზომების მიღება მესამე სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობის საკითხს მხოლოდ იმ შემთხვევაში დააყენებს დღის წესრიგში, თუკი მათ მოქმედება აუცილებელი ზრუნვის ფარგლებში მოეთხოვებათ. ასეთი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის აუცილებელია დადგინდეს შეუსაბამობა სახელმწიფოს რეალურ ქმედებასა და იმ ქმედებებს შორის, რაც “აუცილებელი ზრუნვის სტანდარტით” მოითხოვებოდა.¹⁰⁶ ცხადია, ასეთ დროს მტკიცების ტვირთი უფრო მაღალია, ვიდრე შედეგობრივი ვალდებულებების შემთხვევაში, როდესაც საკმარისად ჩაითვლება იმის დემონსტრირება, რომ შესაბამისი შედეგი რეალურად არ დადგა. საერთაშორისო

¹⁰² იხილეთ, მაგალითად *ibid.*, 89-ე მუხლი.

¹⁰³ L. Condorelli and L. Boisson de Chazournes, *supra note 4*, გვ. 76–78. აგრეთვე იხილეთ H.-P. Gasser, *supra note 64*, გვ. 29: “შეიარაღებული კონფლიქტის მხარეების მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სრულად შესრულების უზრუნველყოფის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები არ გულისხმობს გადახვევას სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ ძალის გამოყენების აკრძალვიდან. ამ საკითხზე ყველა თანხმდება.”

¹⁰⁴ B. Kessler, *supra note 68*, გვ. 506.

¹⁰⁵ L. Condorelli and L. Boisson de Chazournes, *supra note 4*, გვ. 76–78. აგრეთვე იხილეთ ICRC, “The ICRC’s Position on ‘Humanitarian Intervention’”, *International Review of the Red Cross*, Vol. 83, No. 842, 2001, გვ. 530–531:

სახელმწიფოებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ [საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების აღმოფხვრის მიზნით] მისაღებ ზომებს არ არეგულირებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი. აღნიშნული საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიით (VII და VIII თავებით) არის მოწესრიგებული... თუკი შეიარაღებული ინტერვენციის მიზანშეწონილობის საკითხი განიხილება, უშიშროების საბჭოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, ინტერვენციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალები განახორციელებენ თუ ეს მოვალეობა სახელმწიფოებზე ან უსაფრთხოების რეგიონულ ორგანოებზე იქნება დელეგირებული. თუმცა, ქარტიის 53-ე მუხლის თანახმად, “რეგიონულ ორგანიზაციებს ან გაერთიანებებს არ შეუძლიათ ძალის გამოყენება უშიშროების საბჭოს ავტორიზაციის გარეშე”.

ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 89-ე მუხლის თანახმად, ჟენევის კონვენციებისა და მისი I დამატებითი ოქმის მნიშვნელოვანი დარღვევების შემთხვევაში მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს უფლება აქვთ ერთობლივად ან დამოუკიდებლად ითანამშრომლონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის მოთხოვნების დაცვით.

¹⁰⁶ R. Pisillo-Mazzeschi, *supra note 87*, გვ. 50.

ჰუმანიტარული სამართლის შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით თვალსაჩინოა კიდევ ერთი პრობლემა. დიპლომატიური *démarches*, როგორც წესი ორმხრივად და კონფიდენციალურად ხდება. თუმცა, მესამე სახელმწიფოსთვის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულების დარღვევისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება მხოლოდ უბრალო სპეკულაცია არ არის. აუცილებელია მკაფიოდ დადგინდეს, რომ “აუცილებელი ზრუნვის სტანდარტი” არ შესრულდა. ამიტომ, საჭიროა განვმარტოთ, თუ რა ელემენტებისგან შედგება ეს სტანდარტი.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულების შემადგენელი კომპონენტები

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ *ნიკარაგუას* საქმეში აღნიშნა, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულების ფარგლებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციას “ევალეზოდა არ წახალისებინა ნიკარაგუაში მიმდინარე კონფლიქტში ჩართული პირები ან ჯგუფები, რომ დაერღვიათ [ჟენევის კონვენციების საერთო მე-3 მუხლით გათვალისწინებული] წესები.¹⁰⁷ მას შემდეგ არაერთხელ გაიმეორეს, რომ ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლი, ისევე როგორც მსგავსი შინაარსის მქონე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპი, კრძალავს მესამე სახელმწიფოების მიერ შეიარაღებული კონფლიქტის მხარეების მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წესების დარღვევის წაქეზებას. როგორც მერონი აღნიშნავს, კეთილსინდისიერებისა და *pacta sunt servanda* პრინციპები კონვენციების ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ არა მხოლოდ დაიცვან თავიანთი საერთაშორისო ვალდებულებები, არამედ არ წახალისონ სამართლის ნორმების დარღვევა სხვა მხარეების მიერ.¹⁰⁸ ამასთან სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხის მარეგულირებელი წესების მიხედვით სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, რომ მიზანმიმართულად არ დაეხმარონ ან ხელი არ შეუწყონ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების ჩადენას.¹⁰⁹ მათ აგრეთვე თავი უნდა შეიკავონ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპერატიული ნორმების სერიოზული დარღვევის შედეგად შექმნილი ვითარების მართლზომიერ სიტუაციად აღიარებისგან.¹¹⁰ ყველა ეს მოთხოვნა ნეგატიურ ვალდებულებად ითვლება და ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლი რომ არ არსებულებოდა ეს ვალდებულებები საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმებიდან წარმოიშვებოდა.¹¹¹ მაგალითისთვის, ასეთი ნეგატიური ვალდებულებები მნიშვნელოვანი იქნება იმ ოპერაციების ფარგლებში, რომლებშიც სხვადასხვა სახელმწიფოა ჩართული.

¹⁰⁷ ICJ, *Nicaragua v. United States of America*, *supra* note 45, para. 220.

¹⁰⁸ T. Meron, *supra* note 79, გვ. 31.

¹⁰⁹ Draft Articles on Responsibility of States for Internationally Wrongful Acts, November 2001, Supplement No. 10 (A/56/10), chp.IV.E.1, მე-16 მუხლი.

¹¹⁰ *Ibid.*, 41(2) მუხლი. აგრეთვე იხილეთ ICJ, *Wall Case*, *supra* note 47, paras 158–159, მიუთითებს ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლ მუხლზე.

¹¹¹ A. Devillard, *supra* note 9, გვ. 86: “L’interdiction de l’aide ou de l’assistance à la violation du droit international est une règle coutumière qui s’apparente au concept de complicité en droit interne.” აგრეთვე იხილეთ B. Kessler, *supra* note 68, გვ. 503; C. Focarelli, *supra* note 7, გვ. 169–170; F. Kalshoven, *supra* note 9, გვ. 503–504; Yves Sandoz, “Mise en œuvre du droit international humanitaire”, in *UNESCO and Institut Henry-Dunant, Les dimensions internationales du droit humanitaire*, Pedone, Paris, 1986, გვ. 302–303.

მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს არ ექნებოდათ უფლება სხვა სახელმწიფოსთან ერთად სამხედრო ოპერაცია ეწარმოებინათ, თუკი იარსებებდა მოლოდინი, რომ ეს სახელმწიფოები დაარღვევდნენ ჟენევის კონვენციებს ან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სხვა ნორმებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათ ყველა ზომა მიიღეს მათი თანამებრძოლი მხარეების მიერ სამართლის მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად. ასეთ ზომებს განეკუთვნება პროგრამების ერთობლივი დაგეგმვა, მომზადება და ზედამხედველობა. ამ წესის არსი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1906 რეზოლუციაშია მოცემული,¹¹² რომელიც კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ

FARDC-ის [კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების] მიერ კონგოსა და უცხო ქვეყნის შეიარაღებული ჯგუფების წინააღმდეგ წარმართული ოპერაციისთვის MONUC-ის [კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სიტუაციის სტაბილიზაციის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიის] მიერ აღმოჩენილი დახმარება მკაცრად არის დამოკიდებული FARDC-ის მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, ადამიანის უფლებების სამართლისა და ლტოლვილთა სამართლის დაცვაზე და ამ ოპერაციების ერთობლივად დაგეგმვის ეფექტურობაზე.¹¹³

თუმცა, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულება “უდავოდ უფრო ფართოა, ვიდრე მხოლოდ დარღვევების ჩადენის ‘წახალისებისგან’ თავის შეკავება” და პოზიტიურ ვალდებულებებსაც მოიცავს.¹¹⁴ აღნიშნული რამდენიმე ფაქტით დასტურდება. პირველ რიგში, ეს ნეგატიური ვალდებულება საერთაშორისო საჯარო სამართლიდან გამომდინარეობს. მეორეს მხრივ, ამას ცხადყოფს ზემოთ მოყვანილი პრაქტიკა. ამავდროულად, ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლ მუხლში ტერმინი “უზრუნველყოფა” მოქმედებით გვარშია გამოყენებული.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების აღკვეთა

მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება, რომ გამოიყენონ თავიანთი გავლენა და შესაბამისი ზომები მიიღონ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიმდინარე დარღვევების აღკვეთის მიზნით. ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის ამ ასპექტს ჩვეულებითი სამართლის შესახებ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ მომზადებული კვლევის 144-ე წესიც ეფუძნება. ამ წესის თანახმად, სახელმწიფოებმა “თავიანთი გავლენა შეძლებისდაგვარად უნდა გამოიყენონ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების აღსაკვეთად”.¹¹⁵

ჟენევის კონვენციების კომენტარებიდან ზემოთ მოყვანილი ამონარიდის მიხედვით, თუკი შეიარაღებული კონფლიქტის მხარე თავის საერთაშორისო ვალდებულებებს არ ასრულებს, მესამე სახელმწიფოებს ეკისრებათ სამართლებრივი ვალდებულება, რომ “ყველაფერი იღონონ, რათა შეიარაღებული კონფლიქტის მხარემ

¹¹² Security Council, Resolution 1906 (2009), UN Doc. S/RES/1906, 23 December 2009.

¹¹³ როგორც ქვემოთ იქნება განხილული, იგივე ლოგიკა ვრცელდება დარღვევების პრევენციასა და აღმოფხვრაზე.

¹¹⁴ N. Levrat, *supra* note 59, გვ. 268. ფრანგულენოვანი ორიგინალი: “[L]’étendue de l’obligation de ‘faire respecter’ couvre un champ indubitablement plus large que simplement ‘ne pas encourager.’”

¹¹⁵ ICRC Customary Law Study, *supra* note 11, გვ. 509.

დაიწყოს სამართლის მოთხოვნების შესრულება”.¹¹⁶ აღნიშნული, *prima facie* გულისხმობს, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევებს უკვე ჰქონდა ადგილი. ვალდებულების ამ ასპექტზე ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის კომენტარიც მიუთითებს.¹¹⁷ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვის გაუმჯობესების საკითხზე წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ 2003 წელს ორგანიზებული ხუთი სემინარის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სახელმწიფოებს, რომლებიც არ წარმოადგენენ შეიარაღებული კონფლიქტის მხარეს, ეკისრებათ პოზიტიური ვალდებულება “ყველა ზომა მიიღონ ... იმ სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომლებიც არღვევენ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს, კერძოდ, ითანამშრომლონ იმ სახელმწიფოებთან, რომლებზეც მათ განსაკუთრებული გავლენა აქვთ, რათა შეწყდეს დარღვევები”.¹¹⁸

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების აღკვეთის ვალდებულება ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის 89-ე მუხლშიც არის აღიარებული, რომლის თანახმადაც: “ჟენევის კონვენციების ან წინამდებარე ოქმის დებულებების მძიმე დარღვევების შემთხვევაში მაღალი ხელშემკვრელი მხარეები იღებენ ვალდებულებას, იმოქმედონ ერთობლივად ან ინდივიდუალურად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობითა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის შესაბამისად”.

ზემოთ მოყვანილი სახელმწიფო პრაქტიკიდან არაერთი მაგალითი ცხადყოფს, რომ სახელმწიფოების ქმედებები მიზანმიმართული იყო იმ პრაქტიკის აღმოფხვრისკენ, რომელიც არღვევდა ყველაზე ძირითად ჰუმანიტარულ ნორმებსაც კი. როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის შესახებ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ მომზადებული კვლევა ადასტურებს, ასეთ დროს სახელმწიფოები სამართლებრივი ნორმის შესრულების მიზნით მოქმედებდნენ. ქვემოთ განხილული იქნება, თუ რამდენად ეკისრებათ სახელმწიფოებს სამართლებრივი ვალდებულება, რომ დამატებით გამოიყენონ თავიანთი გავლენა და მიიღონ შესაბამისი ზომები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების პრევენციის მიზნით.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების პრევენცია

ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის მეორე მსოფლიო ომის დროს ჩადენილი დანაშაულების გადმოსახედიდან შეფასებისას, და ამ დებულების მიზნისა და დანიშნულების გათვალისწინებით, საფუძვლიანად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობს კონვენციის დარღვევების პრევენციის ვალდებულება. ჟენევის კონვენციების შემუშავების დროს სახელმწიფოების ერთუზიანში გენოციდის კონვენციის 1-ლი მუხლის მიღებითაც დადასტურდა. ამ დებულების თანახმად, “მაღალი ხელშემკვრელი მხარეები აღიარებენ, რომ მშვიდობისა თუ ომის დროს ჩადენილი გენოციდი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დანაშაულს წარმოადგენს და სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, უზრუნველყონ ამ დანაშაულის პრევენცია და პასუხისმგებელ პირთა დასჯა”. ამ მუხლის შინაარსის შეფასებისას მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ განმარტა, რომ ფრაზა “ვალდებულებას კისრულობენ” - ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლ მუხლში

¹¹⁶ J. Pictet, *supra* note 12, გვ. 16.

¹¹⁷ Y. Sandoz, C. Swinarski and B. Zimmermann, *supra* note 14, paras 42–43.

¹¹⁸ ICRC, *International Humanitarian Law and the Challenges of Contemporary Armed Conflicts*, *supra* note 63, გვ. 49.

გამოყენებული ცნების მსგავსია და შესასრულებლად სავალდებულო სამართლებრივ ვალდებულებაზე მიუთითებს.¹¹⁹ სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ვალდებულება სახელმწიფოების მხრიდან მოქმედებას მოითხოვს; ამრიგად, გენოციდის პრევენციისთვის სათანადო ზომების მიუღებლობა არღვევს ზემოთ მოყვანილ წესს.¹²⁰ საინტერესოა ის ფაქტი, რომ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო უფრო შორსაც წავიდა და აღნიშნა, რომ ამ ვალდებულების დარღვევისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ექნება იმ ფაქტს, რომ სახელმწიფოს საკმაოდ შეზღუდული ბერკეტები ჰქონდა; “რამდენიმე სახელმწიფოს ერთობლივი ქმედებებით შესაძლოა თავიდან აცილებულიყო გენოციდი, მაშინ, როცა ცალკეული სახელმწიფო დამოუკიდებლად ვერ შეძლებდა ასეთი შედეგის მიღწევას”.¹²¹ ეს რეჟიმი ჟენევის კონვენციების 1-ლი საერთო მუხლის მსგავსია. როგორც პოლუ აღნიშნავს, ყველა მაღალი ხელშემკვრელი მხარის ვალდებულებაა “ყველაფერი იღონონ თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში, რათა უზრუნველყონ კონვენციებით აღიარებული ძირითადი ჰუმანიტარული პრინციპების საყოველთაო დაცვა”.¹²²

არაერთი ავტორი მიუთითებს, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულების უზრუნველყოფა მოიცავს დარღვევების პრევენციის მიზნით ზომების მიღების ვალდებულებას. მაგალითად, დევიარო მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ უკანონო ქმედებაზე რეაქცია - ე.ი. სამართლის მოთხოვნების მიმდინარე დარღვევების შეჩერება - ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის “არსებითი” კომპონენტია, აღნიშნული არ აკნინებს დარღვევების პრევენციის ვალდებულების მნიშვნელობას.¹²³ ავტორის აზრით, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების შედეგები ხშირად იმდენად სერიოზულია, რომ “*a posteriori* ზომები” საკმარისად ვერ ჩაითვლება.¹²⁴ მიუხედავად იმისა, რომ დევიაროს აზრით მესამე სახელმწიფოებს არ ეკისრებათ პრევენციის ზოგადი ვალდებულება, ავტორი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების პრევენციის ვალდებულება გააქტიურდება იმ მომენტიდან, როდესაც ასეთი დარღვევები გონივრულად განჭვრეტადია.¹²⁵ გასერი *erga omnes* ვალდებულებების ჭრილში მიუთითებს არა მხოლოდ მიმდინარე დარღვევების აღკვეთის ვალდებულებაზე, არამედ “მომავალში ასეთი დარღვევების ჩადენის პრევენციაზე” და “მოქმედების აუცილებლობაზე, როდესაც შეიარაღებული კონფლიქტის მხარეები დიდი ალბათობით უგულბებელყოფენ სამართალს ან როდესაც ირკვევა, რომ ისინი უახლოეს მომავალში დაარღვევენ ჰუმანიტარულ ვალდებულებებს”.¹²⁶ სხვა ავტორები კიდევ უფრო შორს მიდიან და მიიჩნევენ, რომ ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის თანახმად სახელმწიფოებს ევალებათ არა მხოლოდ იმოქმედონ იმ მომენტში, როდესაც შეიარაღებული კონფლიქტის მხარეები არამართლზომიერ ქმედებას ჩადიან,

¹¹⁹ იხილეთ ICJ, *Bosnia and Herzegovina v. Serbia and Montenegro*, *supra note* 86, para. 162.

¹²⁰ *Ibid.*, para. 430.

¹²¹ *Ibid.*

¹²² Final Record of the Diplomatic Conference of Geneva of 1949, *supra note* 5, გვ. 53.

¹²³ A. Devillard, *supra note* 9, გვ. 96.

¹²⁴ *Ibid.*

¹²⁵ *Ibid.*, გვ. 96 (სადაც დევიარო განიხილავს კონკრეტული საფრთხის შემთხვევებს) და 97 (“une obligation de prévention des violations du droit humanitaire dont on peut raisonnablement craindre la commission”).

¹²⁶ H.-P. Gasser, *supra note* 64, გვ. 31–32.

არამედ ზოგადად “თავიდან აიცილონ დარღვევები”.¹²⁷ რთულია ზოგადად აღვწეროთ ის კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც სახელმწიფოებს, რომლებიც არ წარმოადგენენ შეიარაღებული კონფლიქტის მხარეს საერთაშორისო პასუხისმგებლობა დაეკისრებათ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრევენციის ვალდებულების შეუსრულებლობისთვის. ნებისმიერ შემთხვევაში, ცხადია, რომ აუცილებელი ზრუნვის ეს ვალდებულება მხოლოდ მაშინ გააქტიურდება, როდესაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები გარკვეულწილად განჭვრეტადი გახდება; სწორედ ამიტომ მიუთითებენ გასერი და დევიარი განჭვრეტად რისკზე. და რეალურად, საერთაშორისო სამართლის მიხედვით აუცილებელი ზრუნვის ვალდებულება კონკრეტული შემთხვევის პრევენციას მოითხოვს და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ასეთი დარღვევა ნამდვილად განჭვრეტადია.¹²⁸

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო 30-ე კონვენენციაზე თავად მაღალმა ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა თავადვე აღიარეს ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის ამგვარი განმარტება:

ყველა სახელმწიფოს ვალდებულებაა თავი შეიკავოს შეიარაღებული კონფლიქტის მხარეების წაქეზებისაგან, დაარღვიონ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და საერთაშორისო სამართლის მოთხოვნების შესაბამისად შეძლებისდაგვარად გამოიყენონ თავიანთი გავლენა ინდივიდუალურად ან კოლექტიურად, რათა უზრუნველყონ დარღვევების პრევენცია და აღმოფხვრა.¹²⁹

ამასთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მსგავსი შინაარსის არაერთი განცხადება გაკეთდა. მაგალითად, 1990 წელს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია *inter alia* ისრაელის განზრახვის საპასუხოდ, რომელსაც სურდა განეახლებინა ოკუპირებული ტერიტორიებიდან პალესტინელი სამოქალაქო მოსახლეობის დეპორტაციის პრაქტიკა,¹³⁰ ე.ი. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პოტენციური დარღვევა, რომელიც მომავალში მოხდებოდა. რეზოლუციის თანახმად, უშიშროების საბჭომ “[1949 წლის ჟენევის კონვენციების] მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის შესაბამისად მოუწოდა უზრუნველყოთ ისრაელის, როგორც ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ კონვენციებით გათვალისწინებული

¹²⁷ N. Levrat, *supra note* 59, გვ. 277: “La faute consisterait dans ce cas en la non-utilisation des moyens existants pour empêcher la survenance d’une violation des Conventions.”

¹²⁸ იხილეთ მაგალითად International Law Commission, “Draft Articles on Prevention of Transboundary Harm from Hazardous Activities, with Commentaries”, *Yearbook of the International Law Commission*, Vol. 2, Part 2, 2001, pp. 153–154:

ზოგადად, პრევენციის კუთხით სახელმწიფოებს არ ეკისრებათ ვალდებულებები განუჭვრეტელ საფრთხეებთან მიმართებით... აუცილებელი ზრუნვის ვალდებულება სახელმწიფოებისგან გონივრული ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს. მათ შორის, სახელმწიფოებს ევალებათ გადაამოწმონ ინფორმაცია ფაქტობრივი და სამართლებრივი ვითარების შესახებ. ამასთან, მათ დროულად უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა შექმნილი ვითარების გადაჭრისთვის. ამრიგად, სახელმწიფოებს ევალებათ მიიღონ ცალმხრივი ზომები განჭვრეტადი ზიანის პრევენციის ან შემცირების მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ “საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ შემუშავებული განმარტება ზოგადი საერთაშორისო სამართლის განმარტების იდენტურია” (R. P. Barnidge, *supra note* 96, გვ. 117).

¹²⁹ 30th International Conference of the Red Cross and Red Crescent, Resolution 3, 2007, para. 2.

¹³⁰ UN SC Res. 681, *supra note* 50, para. 3.

ვალდებულებების შესრულება”.¹³¹ ასეთ შემთხვევებში კონვენციების შესრულების უზრუნველყოფა ცხადია პრევენციის ჭრილში უნდა იქნეს გაგებული.

უნდა აღინიშნოს, რომ სხვა სახელმწიფოების მიერ სამართლის მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულება დღეისთვის აღიქმება როგორც ზოგადი პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაციის რეჟიმს.¹³² ამ კუთხით, საინტერესოა, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის აღსრულების საკითხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ალკვეთისა და პრევენციის ცნებებზე,¹³³ და რეალურად, როგორც მარკო სასოლი აღნიშნავს, ამ ორი კომპონენტიდან განსაკუთრებული ყურადღება ყოველთვის პრევენციას უნდა დაეთმოს.¹³⁴ ამრიგად, სამართლის შესრულების უზრუნველყოფის ჭრილში პრევენციული კომპონენტის მოაზრება შესაბამისობაშია არა მხოლოდ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის აღსრულების მექანიზმების მიზანსა და დანიშნულებასთან,¹³⁵ არამედ თავად ქენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის ზოგად მნიშვნელობასთანაც.¹³⁶

საბოლოო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ ამ სამართლებრივი ვალდებულების ზუსტ შინაარსთან დაკავშირებით იკვეთება სახელმწიფო პრაქტიკისა და აკადემიური მასალების კიდევ უფრო სიღრმისეულად გამოკვლევის აუცილებლობა, აშკარაა, რომ პრევენციის ვალდებულება სამართლის შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულების განუყოფელი ნაწილია. პრევენციული კომპონენტის უარყოფა შეუსაბამობაში იქნებოდა კონვენციის *raison d'être*. რეალურად, ქენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლი მხოლოდ ერთ-ერთია იმ მექანიზმებს შორის, რომლებსაც ქენევის კონვენციები შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლთა დაცვის უზრუნველყოფისთვის ითვალისწინებს. სხვა მექანიზმებს განეკუთვნება:

1. მფარველი სახელმწიფოების საზედამხედველო ფუნქცია.¹³⁷
2. “მშვიდობიან პერიოდში, ისევე როგორც ომის დროს” ქენევის კონვენციების შესახებ ცოდნის შეძლებისდაგვარად გავრცელების ვალდებულება.¹³⁸

¹³¹ *Ibid.*, para. 5.

¹³² A. Devillard, *supra note* 9, გვ. 113.

¹³³ T. Pfanner, *supra note* 48, გვ. 280.

¹³⁴ Marco Sassoli, “State Responsibility for Violations of International Humanitarian Law”, *International Review of the Red Cross*, Vol. 84, No. 846, 2002, გვ. 401: “სამართალი, რომელიც არსებითად ანარქიულ, უკანონო და ხშირად უსამართლო რეალობაში გამოიყენება, პრევენციაზე ორიენტირებული საიმპლემენტაციო მექანიზმებით უნდა იყოს აღჭურვილი.”

¹³⁵ Y. Sandoz, *supra note* 111, გვ. 299: “Il nous a paru que l’on pouvait distinguer trois types de moyens [pour la mise en œuvre du droit international humanitaire]: le moyens préventifs ... les moyens de contrôle ... [et] les moyens de répression.”

¹³⁶ B. Kessler, *supra note* 68, გვ. 499:

ქენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლი ცალსახად არ ამბობს, თუ რა საშუალებებით უნდა უზრუნველყონ სახელმწიფოებმა კონვენციების შესრულება... ვინაიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ “შესრულების უზრუნველყოფის” შესახებ წესი თავის თავში გულისხმობს სხვა მხარის იძულებას, რომ შეასრულოს სამართლის მოთხოვნები, შეგვიძლია აღსრულების ოთხ საშუალებაზე ვისაუბროთ: (1) ქენევის კონვენციების დარღვევების საპასუხოდ რეპრესიული ზომების მიღება, (2) კონვენციების მოთხოვნების შესრულების პროცესში დახმარების აღმოჩენა, (3) კონტროლი, და (4) პრევენცია.

¹³⁷ ქენევის კონვენციები, 10/10/10/11 მუხლები.

¹³⁸ ქენევის კონვენციები, 47/48/127/144 მუხლები.

3. ჟენევის კონვენციებისა და მათი I დამატებითი ოქმის მიმღე დარღვევებისთვის სისხლისსამართლებრივი სანქციების დაწესებისა და ასეთი დანაშაულების აღმოფხვრის მიზნით სათანადო კანონმდებლობის ამოქმედება.¹³⁹
4. “კონვენციის მიმღე დარღვევების გარდა სხვა მნიშვნელოვანი დარღვევების აღკვეთის მიზნით საჭირო ზომების მიღების” ვალდებულება.¹⁴⁰ კომენტარების თანახმად, აღნიშნული გულისხმობს, რომ სახელმწიფოებმა ყველაფერი უნდა იღონონ ისეთი ქმედებების პრევენციისთვის, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდიან კონვენციის მოთხოვნებთან.¹⁴¹

ამასთან, ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის შესაბამისად საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების აღკვეთის ვალდებულების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი მომავალში ასეთი დარღვევების პრევენციაც არის.¹⁴²

ამრიგად, ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლი უნდა გამოიყენებოდეს ყველა შემთხვევაში, თუკი ეს ჟენევის კონვენციების, და ზოგადად, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულების უზრუნველყოფას შეუწყობს ხელს. ამის ნათელი მაგალითია ხელშეკრულება იარაღით ვაჭრობის შესახებ.¹⁴³

ხელშეკრულება იარაღით ვაჭრობის შესახებ და სამართლის მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულება

იარაღით ვაჭრობის ჰუმანიტარული შედეგების კონტროლის საკითხი ჯერ კიდევ 1890 წლის ბრიუსელის კონფერენციაზე განიხილეს. ოცამდე სახელმწიფო შეთანხმდა, აეკრძალათ იარაღისა და აღჭურვილობის მიწოდება მდინარე კონგოს აუზის სახელმწიფოებისთვის, რათა აღმოეფხვრათ მონობით ვაჭრობა და ომები აფრიკაში.¹⁴⁴ ამ დროიდან მოყოლებული გამუდმებით იყო მცდელობა, რომ იარაღის კანონიერებასა და სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს შორის სათანადო ბალანსი მოეძებნათ. ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში შესაძლებელი გახდა სახელმწიფოების ყურადღების მობილიზება აღნიშნულ საკითხზე. პროცესი იარაღით ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების მიღებით დაგვირგვინდა.

¹³⁹ ჟენევის კონვენციები, 49/50/129/146 მუხლები; ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმი, 11, 85 და 86 მუხლები.

¹⁴⁰ ჟენევის კონვენციები 49(3)/50(3)/129(3)/146(3) მუხლები.

¹⁴¹ Jean Pictet (ed.), *Commentary: I Geneva Convention for the Amelioration of the Condition of the Wounded and Sick in Armed Forces in the Field*, 1952, გვ. 367: “კონვენციების ფრანგულენოვან ტექსტში გამოყენებული ტერმინი ‘faire cesser’ შესაძლოა რამდენიმენაირად განიმარტოს. ჩვენი აზრით, ეს ფრაზა გულისხმობს ყველა ზომას, რომლის მიღებაც სახელმწიფოს შეუძლია, რათა უზრუნველყოს კონვენციის საწინააღმდეგო ქმედებების პრევენცია.”

¹⁴² A. Devillard, *supra* note 9, გვ. 97. საერთაშორისო სისხლის სამართალში პრევენციის როლზე დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ICTY, *The Prosecutor v. Blaskic*, Case No. IT-95-14-A, Judgment (Appeals Chamber), 29 July 2004, para. 678.

¹⁴³ General Assembly, *Arms Trade Treaty*, UN Doc. A/Res/67/234 B, 2 April 2013.

¹⁴⁴ General Act of the Brussels Conference Relative to the African Slave Trade, Brussels, 2 July 1890, Art. VIII.

1998 წელს ოცამდე სახელმწიფო შეიკრიბა ოსლოში რომ პირველად განეხილათ მცირე ზომის იარაღის გავრცელებით გამოწვეული პრობლემები.¹⁴⁵ მათ შეიმუშავეს დოკუმენტი, რომელშიც აღიარებული იყო იარაღით ვაჭრობასთან დაკავშირებული ჰუმანიტარული და უსაფრთხოების პრობლემური ასპექტები. ამავე დოკუმენტში გაიწერა იმ წესების ჩამონათვალი, რომელთა განვითარებაც აუცილებელი იყო ამ პრობლემის გადასაჭრელად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულებისა და შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულებას.¹⁴⁶ ერთი წლის შემდეგ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა მოამზადა კვლევა, სახელად *იარაღის ხელმისაწვდომობა და სამოქალაქო პირების ხვედრი შეიარაღებულ კონფლიქტებში*. კვლევა შეეხებოდა “იარაღის გავრცელებას ახალ და სათანადო დისციპლინის არმქონე ძალებს შორის”,¹⁴⁷ და სახელმწიფოებს მოუწოდებდა ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის შესაბამისად “გადაეხედათ იარაღისა და აღჭურვილობის წარმოების, ხელმისაწვდომობისა და გადაზიდვის მარეგულირებელი პოლიტიკა”.¹⁴⁸ მას შემდეგ იარაღის ექსპორტის საკითხის მარეგულირებელ ქცევის კოდექსებში აისახა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულების უზრუნველყოფის ასპექტი. მაგალითად, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) *დოკუმენტი მცირე ზომის და მსუბუქი იარაღის შესახებ* მოითხოვს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა თავი შეიკავონ ექსპორტის ლიცენზიის გაცემისგან, თუკი მიიჩნევენ, რომ არსებობს “აშკარა რისკი”, რომ ამ იარაღის გამოყენებამ შესაძლოა “საფრთხის ქვეშ დააყენოს შეიარაღებული კონფლიქტის მხარეთა ქმედებების მარეგულირებელი საერთაშორისო სამართლის დაცვა”.¹⁴⁹ მსგავს კრიტერიუმებს ითვალისწინებს არაერთი ინსტრუმენტი, მათ შორის ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის (OAS) რეგულაციები იარაღის ბროკერების კონტროლის შესახებ,¹⁵⁰ დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა ეკონომიკური გაერთიანების (ECOWAS) კონვენცია მცირე ზომის იარაღისა¹⁵¹ და მსუბუქი იარაღის შესახებ და ნაირობის დეკლარაციის იმპლემენტაციის სახელმძღვანელო პრინციპები საუკეთესო პრაქტიკის შესახებ.¹⁵² ყველა ეს კონვენცია და სახელმძღვანელო პრინციპები იარაღის მიწოდების კანონიერების ჭრილში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების შესაძლო ჩადენაზე საუბრობს. ამრიგად, ამ წესების ძირითადი მიზანი მომავალში მსგავსი “დარღვევების თავიდან აცილება”, ანუ მათი პრევენციაა.¹⁵³

¹⁴⁵ იხილეთ Denise García, *Small Arms and Security: New Emerging International Norms*, Routledge, London, 2006.

¹⁴⁶ *An International Agenda on Small Arms and Light Weapons: Elements of a Common Understanding - Concerns and Challenges*, Oslo, 1998, in D. García, *supra note* 145, გვ. 46–58.

¹⁴⁷ ICRC, *Arms Availability and the Situation of Civilians in Armed Conflict*, Geneva, 1999, გვ. 1.

¹⁴⁸ *Ibid.*, გვ. 24.

¹⁴⁹ 308th Plenary Meeting of the OSCE, Document on Small Arms and Light Weapons, FSC.DOC/1/00/Rev.1, 24 November 2004, Section III(A)(2)(b)(v).

¹⁵⁰ OAS, Model Regulations for the Control of Brokers of Firearms, Their Parts and Components and Ammunition, 2003, Art. 5.

¹⁵¹ ECOWAS, Convention on Small Arms and Light Weapons, Their Ammunition and Other Related Materials, 2006, 6(2) მუხლი.

¹⁵² Regional Centre on Small Arms and Light Weapons, *Best Practice Guidelines for the Implementation of the Nairobi Declaration and the Nairobi Protocol on Small Arms and Light Weapons*, 2005, გვ. 25.

¹⁵³ N. Levrat, *supra note* 59, გვ. 277.

ჟენევის კონვენციების მაღალმა ხელშემკვრელმა მხარეებმა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის 28-ე საერთაშორისო კონფერენციაზე ხაზი გაუსვეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების პრევენციის კონტექსტში ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის მნიშვნელობას:

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულებისა და შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულების სფეროში სახელმწიფოებმა უნდა გააძლიერონ იარაღის - განსაკუთრებით მცირე ზომის იარაღის, მსუბუქი იარაღის და მათი ტყვიების - ხელმისაწვდომობის კონტროლი, რათა ეს იარაღი არ აღმოჩნდეს იმ სუბიექტების ხელში, ვინც მოსალოდნელია, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევებს ჩაიდენს.¹⁵⁴

ამასთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 2006 წელს მიიღო 61/89 რეზოლუცია, რომლითაც მოითხოვა ექსპერტთა ჯგუფის შექმნა. ამ ჯგუფის საქმიანობის საგანი უნდა ყოფილიყო ყოვლისმომცველი და სამართლებრივად სავალდებულო ინსტრუმენტის მიღების შესაძლებლობის საკითხის შეფასება, მისი შინაარსის განსაზღვრა და ხელშეკრულების პროექტის მომზადება. ამ ინსტრუმენტს უნდა გაეთვალისწინებინა ყოვლისმომცველი და სამართლებრივად სავალდებულო საერთაშორისო სტანდარტები კონვენციური იარაღის ექსპორტისა და გადაზიდვის შესახებ.¹⁵⁵ თუმცა, იმ დროისთვის აშკარა იყო რომ ახალი ინსტრუმენტის წარმატებით მიღების შემთხვევაში ახალი სამართლებრივი ვალდებულებები მხოლოდ შეავსებდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულების უზრუნველყოფის საკითხზე უკვე არსებულ ნორმებს.¹⁵⁶ სწორედ ამიტომაც, სახელმწიფოთა უმრავლესობა ამ პროექტზე მუშაობის პირველივე დღიდან თანხმდებოდა, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულების უზრუნველყოფა ახალი ინსტრუმენტის ფარგლებში იარაღის გადაზიდვის საკითხის შეფასების ამოსავალი წერტილი უნდა ყოფილიყო.¹⁵⁷ რეალურად, იარაღის ექსპორტის ნებართვის გაცემის ფარგლებში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვის ხარისხის შეფასება უკვე მიიჩნევა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილად.¹⁵⁸

იარაღით ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 2013 წლის აპრილში მიიღო.¹⁵⁹ კონვენცია სიტყვა-სიტყვით მიუთითებს ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლ მუხლზე. “*inter alia* 1949 წლის ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის შესაბამისად საერთაშორისო ჰუმანიტარული

¹⁵⁴ 28th International Conference of the Red Cross and Red Crescent, Agenda for Humanitarian Action, Geneva, 2003, final goal 2(3). წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის 31-ე საერთაშორისო კონფერენციაზე მაღალი ხელშემკვრელი მხარეებისთვის წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ წარდგენილ ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულების ფარგლებში სახელმწიფოებს “ევალებათ ყველაფერი იღონონ, რათა იარაღი და სხვა აღჭურვილობა არ აღმოჩნდეს იმ პირების ხელში, ვინც მათ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების ჩასადენად გამოიყენებს”: ICRC, *International Humanitarian Law and the Challenges of Contemporary Armed Conflict*, report of the 31st International Conference of the Red Cross and Red Crescent, October 2011, გვ. 46.

¹⁵⁵ UN GA Res. 61/89, UN Doc. A/Res/61/89, 18 December 2006, para. 2.

¹⁵⁶ Daniel Thürer, *International Humanitarian Law: Theory, Practice, Context*, The Hague Academy of International Law, 2011, p. 223.

¹⁵⁷ *Ibid.*, გვ. 224.

¹⁵⁸ Zeray Yihdego, *The Arms Trade and International Law*, Hart Publishing, Portland OR, 2007, გვ. 226–232.

¹⁵⁹ UN GA Res. 67/234, UN Doc. A/Res/67/234 B, 2 April 2013 (Arms Trade Treaty).

სამართლის შესრულება და მისი შესრულების უზრუნველყოფა” ამ დოკუმენტით აღიარებულ ძირითად პრინციპებს განეკუთვნება.¹⁶⁰ იარაღით ვაჭრობის ხელშეწყობის 6(3) მუხლი მიუთითებს, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფო ვალდებულია არ გასცეს კონვენციური იარაღის გადაზიდვის ნებართვა, თუკი მან იცის, რომ იარაღი გამოყენებული იქნება 1949 წლის ჟენევის კონვენციების მძიმე დარღვევების ჩადენისთვის, სამოქალაქო პირებსა და სამოქალაქო ობიექტებზე თავდასხმისთვის ან საერთაშორისო ხელშეწყობებით გათვალისწინებული განმარტების შესაბამისად სამხედრო დანაშაულების ჩადენისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მე-6 მუხლი არ კრძალავს ექსპორტს, მომდევნო მუხლი კრძალავს იარაღის გადაზიდვას, თუკი არსებობს “რისკი”, რომ აღნიშნული იარაღი გამოყენებული იქნება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მნიშვნელოვანი დარღვევების ჩადენისთვის ან ასეთი დარღვევების ხელშეწყობისთვის.¹⁶¹ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა შეიმუშავა არაერთი ინდიკატორი, რომელიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული რისკის შეფასების პროცესში. ამ ინდიკატორებს განეკუთვნება: იარაღის მიმღები მხარის მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვის ისტორია, მის მიერ იარაღის გამოყენების სავარაუდო მიზნები და მისი შესაძლებლობა გააკონტროლოს, რომ იარაღი ნამდვილად საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნების დაცვით იქნება გამოყენებული.¹⁶²

უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულება მხოლოდ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების ჩადენაში დახმარების აღმოჩენის აკრძალვას არ გულისხმობს.¹⁶³ ამრიგად, იარაღით ვაჭრობის კონტექსტში ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლი არაერთ პოზიტიურ ვალდებულებასაც მოიცავს და ამრიგად, ცდება სახელმწიფო პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტის მე-16 მუხლის ფორმულირებას. საერთაშორისო სამართლის კომისიამ ჩათვალა, რომ დახმარება მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება უკანონოდ, თუკი სახელმწიფომ იცის იმ გარემოებების შესახებ, რაც ქმედებას უკანონოდ ხდის და ამის მიუხედავად, გადაწვეტილებას იღებს იმოქმედოს საერთაშორისო ვალდებულების დარღვევის ხელშეწყობის მიზნით. იარაღის ექსპორტის შემთხვევაში, მე-16 მუხლის პროექტი შესაძლოა შემდეგნაირად განიმარტოს: C სახელმწიფოს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეკისრება საერთაშორისო პასუხისმგებლობა, თუკი ის B სახელმწიფოს წინააღმდეგ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების ჩადენის ხელშეწყობის მიზნით A სახელმწიფოს მიყიდის იარაღს და თუკი მისთვის ცნობილია A სახელმწიფოს მიერ ამ იარაღის უკანონოდ გამოყენების განზრახვის შესახებ. რაც შეეხება ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლ მუხლს, ამ დებულების თანახმად, C სახელმწიფოს მოეთხოვება შეაფასოს, თუ რა ალბათობა არსებობს იმისა, რომ A სახელმწიფო ამ იარაღს B სახელმწიფოს წინააღმდეგ შეიარაღებულ კონფლიქტში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების ჩასადენად გამოიყენებს, და იარაღის გადაცემისგან თავი შეიკავოს, თუკი დასაბუთებული და აშკარა საფრთხე არსებობს, რომ იარაღი მართლაც ამ მიზნით იქნება გამოყენებული.¹⁶⁴

¹⁶⁰ *Ibid.*, პრეამბულის მე-5 პრინციპი.

¹⁶¹ *Ibid.*, 7(1)(b)(i) და 7(3).

¹⁶² ICRC, *Arms Transfer Decisions: Applying International Law Criteria*, Geneva, 2007, გვ. 9–15.

¹⁶³ M. Sassòli, *supra note* 134, გვ. 413.

¹⁶⁴ *Ibid.*, გვ. 412–413; Maya Brehm, “The Arms Trade and States’ Duty to Ensure Respect for Humanitarian and Human Rights Law”, *Journal of Conflict and Security Law*, Vol. 12, No. 3, 2008, გვ. 375–377 და 386; Alexandra Boivin, “Complicity and Beyond: International Law and the Transfer of Small Arms and Light Weapons”, in *International Review of the Red Cross*, Vol. 87, No. 859, 2005, გვ. 475–479.

სამართლებრივი დისკუსია, რომელიც წინ უძღვოდა იარაღებით ვაჭრობის ხელშეკრულების მიღებას შესაძლოა ჩაითვალოს ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ერთ-ერთ მაგალითად. ექვგარეშეა, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულების უზრუნველყოფის კუთხით ამ სამართლებრივ ვალდებულებას შესაძლოა ბევრი სხვაგვარი გამოხატულება ჰქონდეს - როგორცაა მაგალითად, მრავალმხრივი შეიარაღებული ძალების მიერ ტყვეების გადაყვანის ვალდებულებების დაკონკრეტება.¹⁶⁵

დასკვნა

ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლი სახელმწიფოებს ავალდებულებს თავიდან აიცილონ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები. ამ მიზნის მისაღწევად არსებული სამართლებრივი ჩარჩო ყველა სახელმწიფოსგან მოითხოვს გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა ბერკეტი, რათა უზრუნველყონ შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარის მიერ ჟენევის კონვენციებისა და მათი I დამატებითი ოქმის, და სავარაუდოდ, ზოგადად საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვა.¹⁶⁶ როგორც ამ სტატიაში განვიხილეთ, ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლი არ გულისხმობს მხოლოდ სახელმწიფოს უფლებას, რომ კონკრეტული ზომები მიიღოს. სახელმწიფოებს ეკისრებათ საერთაშორისო ვალდებულება, რომ უზრუნველყონ ჟენევის კონვენციების დაცვა ნებისმიერ გარემოებაში. ეს მოთხოვნა მოქმედებს როგორც საერთაშორისო, ისე - არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებში და აუცილებელი ზრუნვის ვალდებულებას წარმოადგენს. ამ წესის ფარგლებში სახელმწიფოებმა ყველა ბერკეტი უნდა გამოიყენონ, რათა სასურველ შედეგს მიაღწიონ. ამ სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის აუცილებელი არ არის, რომ შედეგი რეალურად დადგეს. გამოსაყენებელი ზომების შერჩევის პროცესში სახელმწიფოებს ენიჭებათ ფართო დისკრეტია, სამხედრო ინტერვენციის გამოკლებით; ასეთი ინტერვენცია კანონიერი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ის აკმაყოფილებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის მოთხოვნებს. ამრიგად, როგორც ეს სხვა საერთაშორისო ვალდებულებების შემთხვევაშია, რაც უფრო მეტი შესაძლებლობები აქვს კონკრეტულ სახელმწიფოს, მას უფრო დიდი როლი ეკისრება.

რაც შეეხება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულების უზრუნველყოფის ვალდებულების გარე ასპექტის შინაარსს, ჟენევის კონვენციების საერთო

¹⁶⁵ Cordula Droeg, "Transfer of Detainees: Legal Framework, Non-Refoulement and Contemporary Challenges", *International Review of the Red Cross*, Vol. 90, No. 871, 2008, გვ. 687. დროგე ტყვეთა გადაყვანის დროს მოპყრობის სათანადო პირობების უზრუნველყოფის ვალდებულებას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულებასთან კავშირში განიხილავს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მრავალმხრივი შეიარაღებული ძალების კონტექსტში:

უშუალო პასუხისმგებლობის გარდა, საერთაშორისო ორგანიზაციებს აგრეთვე ეკისრებათ ვალდებულება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულების უზრუნველყოფის კუთხით. ამრიგად, მრავალმხრივ ოპერაციებში, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით ხორციელდება, ორგანიზაციას განსაკუთრებული ტვირთი ეკისრება, რომ მოახდინოს ცალკეული სახელმწიფოს მხრიდან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების პრევენცია და აღმოფხვრა. ამ მიზნით ორგანიზაციამ მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი უნდა გამოიყენოს.

¹⁶⁶ ამას ადასტურებს სახელმწიფო პრაქტიკა, მათ შორის ჟენევის კონვენციების მაღალი ხელშემკვრელი მხარეების მიერ წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციებიც.

1-ლი მუხლი ცალსახად მოიცავს მესამე სახელმწიფოს ვალდებულებას, რომ არ წახალისოს შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართული პირები ან ჯგუფები, რომ დაარღვიონ ჟენევის კონვენციები ან მიზანმიმართულად არ დაეხმაროს ან ხელი არ შეუწყოს ასეთი დარღვევების ჩადენას. ამის მიუხედავად, ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლის მოქმედების სფერო ცდება მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებებს. ერთის მხრივ, სახელმწიფოებმა უნდა აღკვეთონ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიმდინარე დარღვევები. მეორეს მხრივ, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულების უზრუნველყოფის მოთხოვნა მოიცავს დარღვევების პრევენციის ვალდებულებასაც.

იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოქმედი წესების დაცვა შეიარაღებული კონფლიქტების შედეგების შემცირებისა და სამოქალაქო მოსახლეობის სათანადოდ დაცვის სფეროში ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს, ჟენევის კონვენციების საერთო 1-ლი მუხლით აღიარებულ პრევენციის ვალდებულებას უდიდესი დატვირთვა აქვს. ამავდროულად, სახელმწიფოებს, რომლებიც არ არიან ჩართული კონკრეტულ შეიარაღებულ კონფლიქტში, ხელეწიფებათ უზრუნველყონ “ჟენევის კონვენციებით აღიარებული ძირითადი პრინციპების” საყოველთაო დაცვა.¹⁶⁷ იმედია, რომ სახელმწიფოები დაიცავენ მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებას და უზრუნველყოფენ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესრულებას.

¹⁶⁷ ICJ, *Nicaragua v. United States of America*, *supra* note 45, para. 220.